№ 23 (47) 1930 წ. 15 დეკემბერი. წელიწადი მეორე ფასი 15 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დროშა



26 კომუნარის სახელობის დამკვრელი მუშები (ტფილისი) აშენებენ შვიდტონიან ამწევ ლუზებს, რომლებიც წინად საზლვარგარეთიდან შემოჰქონდათ

ეროვნული ბიბლიოთეკა
დ-76.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დროშა

რედაქც. მისამართი: რუსთაველის პრ. № 16
შესავალი წულუკიძის ქუჩიდან

მდივანთან მოლაპარაკება: 12—2 საათამდე.
რედაქცია დაწუნებულ მასალებს არ უბრუნებს ავტორებს.



სტალინისი. ახალი მძლავრი ბრძმედი

# იმპერიალიზმი და მისი აგენტურა პროლეტარულ სასამართლოს წინაშე

დასრულდა „სამრეწველო პარტიის“ ხელმძღვანელთა პროცესი. პროლეტარულმა სასამართლომ შესაფერი მსჯავრი დასდო უცხოეთის იმპერიალიზმისა და საბჭოთა მიწიდან აღგვილ ყოფილ მრეწველთა აგენტებს—მავნებელ სპეციალისტებს, რომლებმაც მუშური ხელისუფლების ნდობა იმისთვის გამოიყენეს, რომ ნაღმები ჩაეყარათ სოციალისტური შენობის საძირკველში. მათი მიზანი იყო კრიტიკულ მომენტში აეფეთქებიათ მსოფლიო მტაცებელთა პირისპირ მდგარი რევოლიუციის სიმაგრე.

სასამართლომ მზის სინათლეზე გამოიტანა იმპერიალისტების ვერაგული გეგმები, რომლებსაც ისინი ადგენდნენ პირველი პროლეტარული სახელმწიფოს სისხლში ჩასახრჩობათ. მან გაასამართლა არა მარტო რამზინი, ლარიჩევი, ფედოტოვი, ჩარნოვსკი, არამედ მათი ბატონ-პატრონებიც—პუანკარე, ბრიანი, საფრანგეთ-ინგლ. გენერალური შტაბები, ნავთის მეფე დეტერდინგი, რუსი თეთრგვარდიელები და სხვა ომის ცეცხლის წამკიდებელნი, რომლებიც მავნებლობის საშუალებით ცდილობდნენ შინაური კატასტროფა გამოეწვიათ საბჭოთა კავშირში და ამით გაეადვილებიათ თავიანთი ინტერვენციონისტული ზრახვების განხორციელება.

მაგრამ დაუშრეტელია პროლეტარული რევოლიუციის მებრძოლი ძალები, განუსაზღვრელია მისი ბრძოლის ფორმები და საშუალებები. რამზინები მიმართავდნენ გეგმიან მავნებლობას — პროლეტარიატი კი მათ მავნებლურ გეგმებს ინსტიქტიურად უპირდაპირებდა შემხვედრ საწარმოო გეგმას და ამით მტრისაგან მოქნეულ მახვილს იცდენდა; რამზინების იმედი ქონდათ: „მსოფლიო მტაცებლები შეთანხმდებიან და 1930 წლის ზაფხულისათვის ინტერვენცია დაიწყებაო“—ეს იმედიც ფუჭი გამოდგა.

სოციალისტური მშენებლობა მძლავრი ნაბიჯებით მიდის წინ. რუსეთის კონტრ-რევოლიუციონური ინტელიგენციის უბადრუკმა ნაშთებმა, მუხედავად მსოფლიო იმპერიალიზმის დახმარებისა, ვერ შესძლეს ისტორიის ჩარხის უკუღმა დაბრუნება. რევოლიუციის ფხიზელი თვალი და ულმობელი ხელი სწვდა საბჭოთა ორგანოებში შემძვრალ მტრებს და საბრალმდებლო სკამზე წამოასკუპა ისინი.



საბჭოთა კავშირის უზენაეს სასამართლოსსპეციალურ საკრებულოს შემადგენლობა: ამხ. ამხ. ანტონოვ-სარატოვსკი, ვიშინსკი, ლვოვი და ივანოვი.

პროცესი მსოფლიოს ყურადღების ცენტრში იდგა. საერთაშორისო კაპიტალისტური კლასი ბრაზმორეულ და იმედგაცრუებული უცქერდა თავის უხერხემლო „გმირებს“, რომლებიც გულახდილად გამოტყდნენ დანაშაულში და გასცეს იმპერიალისტთა გეგმები; საერთაშორისო მუშათა კლასი კი ეთნსულოვან სოლიდარობას უცხადებდა საბჭოთა კავშირის პროლეტარიატს, მოითხვდა მავნებელთა უსასტიკესად დასჯას და აცხადებდა, რომ მზადაა იბრძოლოს საბჭოთა კავშირის დასაცავად.



სახელმწიფო ბრალმდებელი ამხ. კრილენკო.

ჩვენში სამრეწველო მავნებელთა პროცესმა კლასობრივი აღშფოთების ტალღასთან ერთად მუშათა კლასის ენერგიის ახალი ტალღა გამოიწვია. „სიკვდილი მავნებლებს“, „მთელი ძალღონე 5 წლედის 4 წელიწადში შესასრულებლად“—ამ ლოზუნგით ჩატარდნენ პროლეტარიატის მრისხანე დემონსტრაციები სამრეწველო ცენტრებიდან შორეული აღმოსავლეთის უკიდურეს კუთხეებამდე.

განაჩენი გამოტანილია. იმპერიალისტების მიერ მოსყიდულმა სწავლულმა ჯაშუშებმა მრისხანე სასჯელი მიიღეს შეპირებული სამინისტრო პორთფელების ნაცვლად... მთელი მსოფლიოსათვის აშკარა გახდა თუ ვისზე ილესავს საფრანგეთის იმპერიალიზმი თავის კლანჭებს, ვინ ცდილობს იმპერიალისტური ხოცვა-ჟლეტის ცეცხლის დანთებას და ვის წისქვილზე უშვებს წყალს მემარჯვენე გადახრა ჩვენი პარტიის შიგნით. ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა და მსოფლიო მუშათა კლასმა აქედან სათანადო დასკვნა გამოიტანეს..

პროლეტარიატის დიქტატურის უმაღლესმა ორგანომ მჯსავრდადებულთ სასჯელი შეუმსუბუქა. სულგრძელობის ეს უჩვეულო აქტი ადვილი ასახსნელია: გამარჯვებული პროლეტარიატისათვის უცხოა შურისძიების გრძნობა, სოციალისტურ მშენებლობისათვისაც არ არის საშიში იარაღაყრილ მავნებელთა უბადრუკი სიცოცხლე.

ს—ი.



ბრალდებულები: რამზინი, სალინნიკოვი, ლარიჩევი, ფედოტოვი, კუპრიანოვი, სიტნინი

# ფრუნზელი

მზე საშუადღეოს ორი საათით გადასცილდა. როცა ველიდან დაბრუნებულმა გუნდებმა ბანაკს ძლიერი სიმღერები შემოუსია. გამობრძმედილია ყველა შეძახილი. ტონი მებრძოლისაა და მომარჯვებული მტრის წინააღმდეგ, როგორც შაშხანა ხიშტწამოცმული გუშაგით. საველე სამოსწავლო მოედანი კარვებს ერთი კილომეტრით ეყოფა. ცილდება. არე ფართოა, უზიანო და მთის კალთად გაფენილი. ორი ყურით იკეცება გორაკები და სიღრმეში ხევი ჩადის. ამ ხევში გადიან დილაობით. ბრუნდებიან ნაშუადღევს. აღვიძებენ ქალაქს შემოაქვთ სისხლით წამოწითლებული ლოყები. მზეზე გაშავებული და ქართლის თბილ ქარში ნაცდობი.

გვალვისაგან გამხმარ ბალახებში მიწოლილები ტაქტიკურ მეცადინეობის დროს მზის ვანებში იბანებიან. ეს სიჯანსაღეა და ველის თავისუფალ ჰაერში იზრდება ამტანიანობა.

ქალაქის გუშაგმა მიიღო პირველი ასეული. მოყვა მეორე და გამზირის ყოველი კუთხე ითვლის ახალ-ახალ მწყობრებს. ლეგიონს ემეზობლება ლეგიონი და მძიმე ცეცხლის მსროლელნი.

ფრუნზეს სახელობის მსროლელი დივიზია მაშინ არის კარგი სანახავი, როცა გულზვიადი და შეგნებული მუშების - გლეხების შვილები შეჭურვილი დგანან მწყობრად. ამაყად თავაღებულნი და საომარ მზადებაში ზრდიან საბჭოთა ქვეყნის სოციალისტურ აღმშენებლობის შესაძლებლობას.

ასეული-ასეულს მოყვება, გუნდი-გუნდს, ცხენოსანი - ცხენოსანს და მუშაობით გამძლარნი ცვალებადელები ბრუნდებიან ბინაზე. შუბლიდან ჩამოგორებული ოფლის წვეთების სხივებში [illegible]ებიან. მსუქანლოყებს ვეღარ სცილდებიან, ამრობს ძლიერი სიო.

მებრძოლი რაზმი მუდამ იმღერის მშვიდობიან მდგომარეობაში, როცა არ ეშინია შეუხამებლობის. სიმღერაში ყოველი ჯარი აქსოვს თავის ვაჟკაცურ გმირის იდეალებს. სურვილს და მისწრაფებას. კოლექტიური ნება ისახება ჰარმონიულ ხმებში და ამხნევებს მსმენელს. ხმებზე სხეული იმშუშნება. აღფრთოვანება მიპყრობს და შესაძლებლობის მაქსიმუმით იჭიმება ძარღვები. გული სითბოს გრძნობს და ძალას მატებს. პროლეტარული ჰიმნი ემბლემაა მშრომელთათვის. მებრძოლი და განმათავისუფლებული. მასშია ოქტომბრის, მონაპოვარი და სოციალისტური სამშობლოს თავდაცვის უნარი.

„წითელი არმიის რიგებში
არის მტკიცე, ურყევი,
პროლეტარულ სახელმწიფოს
ერთად - ერთი დამცველი“.....

ამ სიმღერას დამწყები ყავს. არის ხმის მიმოქცევა. ის კოლექტიური თქმის ტიპია და საერთო შეძახილში გუგუნებს ქალაქი.

— ოცეულო ასეულის ხაზად!

მოისმის განკარგულება. მტკიცე ნაბიჯები ეწყობა ერთმანეთს. ასეული იყოფა. ოცეული - ოცეულს უდგება ლარიული სისწორით იჭერს ადგილს პირველი. მეორე... წამის შემდეგ ოთხ ხაზად მოწყობილი ბრუნავს ადგილზე.

— ვაშა!

გავარდა ყუმბარასავით. ხალისით იშლებიან. შაშხანებით ხელში მირბიან კარვებში. იმარჯვებენ პაკლს, ჩვარს, ზეთს, ზუმბას, თივბალიშათ და განასროლ იარაღს ასუფთავებენ. უყვართ საბრძ. საგნები. უვლიან მას, როგორც ეს არც გასაკვირია. გლეხი ნამგალს უვლის. მუშა ჩაქუჩს ადგია თავზე ცეცხლმქროლავ მანქანებში, ხოლო წითელი ჯარის კაცი თავის შაშხანას აპრიალებს. მტერსაც არ აკარებს, რომ დევალვაციაში ჩამდგარ [illegible] ხელი არ შეუშალოს მიზანთან მისვლაში. დგას მედგრად და შუბლზე ხელ აღებული უყურებს სანაპიროს, მტერს ზვერავს. ათვალიერებს. არ უშვებს. რევოლუციას ზრდის და იცავს ჩაქუჩ - ნამგალს. ზოგჯერ რევოლიუციონური სიმტკიცით გადაისვრის მსოფლიო პატაკს.

— ძირს იმპერიალიზმი!

— გაუმარჯოს მშვიდობიანობის პოლიტიკას!

ამას მხნედ ამბობს. მის წინაშე თრთის კაპიტალისტური მსოფლიო. წითელი აჩრდილი დარბის მათ ხსოვნაში და ღრღნის მათ მოსვენებას. ბლიუხერის გაკვეთილი გულს უკლავთ და ილრინებიან ძუ ძაღლებსავით. მშიერი ძუსავით, რომელსაც სასიკვდილოთ ასწვია მუცელი და განუკურნებელი ავადმყოფობის მორჩენას თბილი სისხლით ლამობს.

წითელი არმია გლობუსის ერთმეექვსედზე გუშაგად სდგას საერთაშორისო მუშათა კლასის სადარაჯოზე. მარჯვენა ' ხელი შუბლს უტოლდება. ტუჩები მოკუმულია. შაშხანა მხარს უსწორდება და გული მძიმედ სცემს. ელის სიგნალს. მტერს არ უშვებს. შეტევაზე არ მიდის. მისი სული მკვრივია და გამსჭვალული ერთი აზრით: ერთი შეხედულებით: „ჩვენ ვაწარმოებთ მშვიდობიანობის პოლიტიკას. ეს პოლიტიკა მშვიდობიანობისა შემდეგშიაც უნდა ვაწარმოოთ. არც ერთი მტკაველი სხვისი მიწა ჩვენ არ გვინდა არც ერთ გოჯს ჩვენსას არავის დაუთმობთ“ აი, დევიზი წითელი ლაშქრის, რომელიც გარკვეულად ლენინური პათოსით პასუხობს მსოფლიო მოლაყბეებს. სოციალ - გამყიდველებს. მათ „წითელი იმპერიალიზმის“ ცრუ დოკუ-



სტალინის სახელობის ქარხნის ორთქლმავლების შემკეთებელი საამქრო.



სტალინის სახელობის ქარხნის დამკვრელი მუშები მუშაობენ „ინდუსტრიალიზაციის ფონდის გასაძლიერებლად.

მენტებს, ანტისაბჭოთა კამპანიებს, კონტრრევოლიუციონურ მენშევიზმს და ფაშისტურ სოციალ-დემოკრატებს.

— ფრუნზელი უნდა იყოს საუკეთესო მებრძოლი, მშენებელი და დამცველი სოცმშენებლობის.

აწერია კარვის შესავალში. კითხულობს ტახტზე წამომჯდარი ტერშეკრებაზე მყოფი გოლა. მას გზაში ტოლალები დარღვევია. ისწორებს. ფეხი მოხდენილად უჭირავს. მეზობლები ქვაბუნებს იმარაგებენ. ალუმინის ჭურჭელი სუფთაა. მორიგე დღიურმა შეასრულა დიასახლისობა. პატარა განჯინაში თიხის ან ალუმინისვე თანაქაა, მასთან კოვზი. ხის ან ლითონის. ცივი წყლით სავსე მათარას მხარზე იკიდებენ. სადილისათვის ემზადებიან. ხელებს იბანენ და ძახილს მოუთმენლად ელიან.

— სადილზე!

— ბესო მიდის სადილზე! ბესო მიდის სადილზე...

უწყობენ ხმას ხუმარა წითელარმიელები.

განსაკუთრებით ჭამის „მოყვარულ“ ხალხს ახალისებს ეს....

მუსიკის ინტერვალები გადადის კარვების თავზე. შორდება ბანაკს. ახმაურებული ფრუნზელები ირაზმებიან.

მცინარე სახეები იშლება გრძელ საგარაკო სასადილოში. საერთო სუფრები იტევს რვა-რვა კაცს. მწკრივდება მოქარგული თეფშები. საინები უცდიან ახლად დაჭრილ თეთრ პურის ნაჭრებთან ერთად „პირველს“, შემდეგ „მეორეს“. სასადილოში წესრიგია. სამზარეულო ქუხნა სასადილოს თავშია. ღია კარებში მორიგე სდგას. მუცელ განიერ ქვაბთან დიდი კოვზით ხელში დგას ქაშავარი. ის ჯეროვნით ისტუმრებს სურსათის დამრიგებელთ. დახელოვნებული მნეები მუდამ კარგ მოსამსახურეთ ეარჩევენ ხოლმე, წითელ არმიელთა სამოსამსახუროდ.

სხარტი მოძრაობა ასწრაფებს დარიგებას. ხუთი წამის შემდეგ მთელი ათასეული იწყებს ნადიმს.

მნახველისათვის შეუძლებელია ურწმუნოება. ფაქტი მიუხედავად მთქმელის ვინაობისა.

— ასეთი კვება რომ სახლში მქონდეს, მაშინ რაღა მიჭირს, ბედნიერი ვიქნებოდი!..

ჩვენი კარავი სასადილოს 50 მეტრითაა დაშორებული მეთაურთა კარვებს შორის. მივდივარ ქვაბუნით ხელში. იზა გასაგებია და გვერდით სიცილით მიმყვება თანამცხოვრები, ჩუმპრ მომაგრებული ამხანაგი ტიხონ მამალაძე. ყაზარმის ზაფხულის ცხოვრებაზე ლაპარაკობს. მას ორი წელია აღარ უცხოვრია ჯარში. უკვირს და განცვიფრებულია.

— რა შედარებაა, დღითი დღე იზრდება და უმჯობესდება წითელ არმიელთა ცხოვრება! — ველარ ვცნობ.

ძველი პოლიტმუშაკი იგონებს ყაზარმის ყოფას. დამაჯერებელია თქმა.

— გამარჯობა მიშა!

მარჯვე მკლავმა შემაბრუნა. თამამმა ხელმა შემაჩერა. მიცნის და მაჯავრებს.

— მიხას სალამი!

ჯარის წესია: ნაცნობი რომ შეგხვდება გაგიხარდება. მით უმეტეს ისეთი, რომელთანაც გიმუშავნია ერთ ორგანიზაციაში. თანასოფლელი, ზოგი ორატორული გამახვილებით, [illegible]ლია მასაში მასთან ერთად და ყველა ეს სცენები გაგონდება. მიხამ ლექხუმი გამახსენა. მიამბო სოფელზე. ნაკურალეშის კოლექტივზე. პურის დამზადებაზე და მხიარული სალამით მცილდება.

— სად მიიჩქარი!

კითხულობს ტიხონი, როცა გამოვკითხეთ ხუნჯერიანს მისი მდებარეობა და ორიენტირი.

— „მკვდარი საათი“ გვაქვს. ის სადილის მონანელებლად არის და შეც უნდა...

მეჩუმრება ვაჟი. ყაზარმაში „მკვდარი საათი“ ყოველ სადილის შემდეგაა. ძილისა და დასვენებისათვის.

მხიარული ამხანაგები ვშორდებით ერთმანეთს. ამ სიამოვნებას ემატება ისიც, რომ ძველი ამხანაგები კიდევ ერთად ვართ მშრომელთა სადარაჯოზე. ვატარებთ „წითელ არმიელის“ სახელწოდებას, რომელის ტარება უდიდესი დამსახურებაა თვითეულ პიროვნებისათვის, რადგანაც კლასთა ბრძოლის ურთულეს ხანაში, გარდატეხის პერიოდში მას ანდობს შაშხანას.

**მიხ. ჩიქოვანი.**



ბათუმი. ბენზინის საწმენდი ახალი ქარხანა ბათუმში.



ბათუმი. ამერიკულ სისტემის ახალი კრეკინგ-ქარხანა.



ბათუმის ახლო მდებარე აზნევთის ნავთის საწმენდი ახალი ქარხანა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სიმღერა ჩეჩნურ კოლექტივებზე

ჩვენ მგზავრები ვართ....
გადავყევით ხევს და ტაფობებს,—
როცა ელვარებს კლდიან თერგის ტალღა ავური,
როცა სხივები კომუნიზმის აქაც ათბობენ—
და კლდეთა მიღმა კოლექტივი ყვავის — აულის..
აქ თუ ჩეჩნური გატაცება გულებს იზიდავს —
ერთია სუნთქვა... და სუნთქვაში ბრუნავს ლენინი.
მთაო კლდეშუბლო, იხედები მაღალ მიზნიდან,
ხევში ჩვენა ვართ და მდინარე გამორბენილი!..
—ძმაო დიმიტრი!—მთა თუ მწყურია—
მთაში დავეძებ (ნგრევის დროსვე) ელემენტს ხვალის.
და გამოსული წინაპრების დიდი წყლულიდან
მტერი ვარ ისევ:—რომანტიულ შიშველი ხმალის!...
აქ კი ყოველი კოლექტივი რკინის ძარღვია.
აღმოსავლეთით დაიღვრება დღე თუ მზიანი:
საერთო ხელი-ბრუნავს, შრომობს—საზღვრებს არღვევენ...
სდგას სიცოცხლე და შიგ—ჩაღვრილი ენტუზიაზმი!..
და თუ მიაწყდა საბჭოეთის გაშლილი მინდორებს
მტერი აშარი...
და ამინდი დადგეს ავქარში...
ისევ შუბლ-მაგრად გადაამტვრევს ღამის მინდობებს.
მთელი კავკასი!..
ეხლა კი: ირგვლივ ხელჩართული შრომა გაჩაღდა
ზელიმხანივით მთიან-ქარში ვინ იწეწება..
როცა ვაჟკაცი გავარდნილი გუშინ ყაჩაღად
დღეს სხვებთან ერთად კოლექტივის საქმეს ეწევა..
მაშინაც, როცა სასიმღეროდ ფანდურს მართავენ—
ხნიერ-ჩეჩნელებს აატირებს „აბრეკ-ზაური"...
ჩეჩნის ბიჭები შეასხამენ ქებას—აბრაგებს
და ლექსს იტყვიან: „კოლექტივი ყვავის—აულის!..
აულში ჩვენ ვართ...
და თვალ-გალმა დგანან თივები...
კალოზე ისევ—ბრუნავს „ლანცი" ძნებზე ნატირი.
შრომა ზეიმობს... და სიმღერა კოლექტივების.
ტრიალებს, როგორც დაგეშილი სეპარატორი!..
—დასცხეთ ბიჭებო, ეგ სიმღერა ნაცნობი არის,
როგორც ის თოვლი—გუშინდელი — გალმათივებზე. —
დასცხეთ... და თქვენში გადმოვიდეს ჩემი ჟრიალიც —
სიმღერა ჩეჩნურ კოლექტივებზე!..

**ალექსანდრე გომიაშვილი.**



მიწსახკომის ჯიშიან ფრინველების გასაშენებელი პუნქტი



ფიზიო-ტერაპევტიულ ინსტიტუტში



ბათომი. უკანასკნელ დროს მეთევზეობა გადიდდა 40 პროც.



ერევანში შენდება ახალი ყინულის ქარხანა



პიონერები სოფლად სამუშაოზე



ნოსირის აგურ-კრამიტის ქარხნის მუშა - მოსამსახურეები, რომლებმაც თავი დამკვრელებად გამოაცხადეს

# ქართლ-კახეთის გლეხების

## რევოლიუციონური გამოსვლა 1905 წელს

შეიძლება ითქვას, რომ აღმოსავლეთ საქართველოში გლეხების რევოლიუციონური მოძრაობა 1905 წელს არ ჩამოუვარდებოდა დასავლეთ საქართველოსას. არ არის მართალი ის აზრი, ვითომ ქართლ - კახეთის გლეხების მოძრაობა სუსტი ყოფილიყოს. მისაღებია ის დებულება, რომ დასავლეთ საქართველოს გლეხების კულტურული დონე უფრო მაღალი იყო, უფრო მეტი იყო ქალაქის მუშების გავლენა საერთოდ მოძრაობაზე და აგრეთვე იქ უფრო ადრე იყო მოწყობილი ორგანიზაციული მუშაობა, მაგრამ რაც შეეხება გლეხების რევოლიუციონურ გამოსვლებს აღმოსავლეთ საქართველოში 1905 წელს — დიდი იყო. მოძრაობა მოედო მთელ მოსახლეობას, რაც მთავრობისათვის სრულებით მოულოდნელი იყო.

პირველად გლეხების მოძრაობა გორის მაზრაში დაიწყო. ერთ ოფიციალურ მოხსენებაში, რომელიც მეფის მოადგილედ დანიშნულ ვორონცოვ - დაშკოვს ტელეგრაფით გადაეცა, ჩვენ ვკითხულობთ: „გლეხების მოძრაობა გორის და დუშეთის მაზრაში გრძელდება. მოძრაობა გადადის ტფილისის მაზრაში. მოძრაობის ნიშნები ეტყობა ალაგ-ალაგ სიღნაღის და თელავის მაზრებსაც, გლეხებს გამოაქვთ განაჩენი და ღებულობენ ფიცს, რომ არ უღალატონ ერთმანეთს. ისინი მუქარით აიძულებენ მემამულეებს დატოვონ თავიანთი მამულები. ართმევენ მემამულეებს მოსამსახურეებს და თხოულობენ, რომ მემამულეების მიწები იმათ გადაეცეს. ტფილისში მღელვარება არ სცხრება“. მოძრაობა გორის მაზრაში ფართე ხასიათს ღებულობდა. გლეხები გურულების მზგავსად ჰქმნიდენ „წითელ რაზმს“ თავად-აზნაურთა მიერ დაარსებულ „შავი რაზმის“ საწინააღმდეგოთ.

მღელვარება გლეხობაში ძლიერდებოდა და ხშირად სისხლის ღვრითაც თავდებოდა. ასე მაგალითად, სოფ. ტირძნისში აღდგომა დღეს გლეხებსა და კაზაკებს შორის მოხდა სისხლისმღვრელი შეტაკება. გლეხების მხრივ მოკლულ იქნა შვიდი კაცი და ათიც დაიჭრა.

დაფაცურდა მთავრობაც და მსგავსად გურიისა გორის მაზრაშიც გაიგზავნა კომისია ვეიდენბაუმის და ჯანდიერის შემადგენლობით. მაგრამ მოძრაობა იმდენათ გაიზარდა, რომ გლეხებმა ამ კომისიას მხოლოდ პოლიტიკური ხასიათის მოთხოვნილებანი წარუდგინეს და ბოლოს ამ კომისიას სრულიადაც ბოიკოტი გამოუცხადეს. ამის გამო უკვე იქ გაგზავნილ ჯარების გარდა კიდევ გაიგზავნა კაზაკთა ორი ასეული და ქვეითა ჯარის ერთი როტა. ზაფხულის თვეების განმავლობაში რევოლიუციონური მოძრაობა უფრო გაძლიერდა, დაიწყო გახშირებული ტერორისტული აქტები.

ამიტომ აგვისტოს დამლევს მთავრობამ გორის და დუშეთის მაზრაში სამხედრო წესები გამოაცხადა. მთავრობამ მიიღო დადგენილება: „რადგანაც ამჟამად მავნე აგიტაციის გავლენით გორისა და დუშეთის მაზრებში უწესოებანი ხდება, დარღვეულ წესების აღსადგენად საჭიროთ ვცანი ეს მაზრები ტფილისის გუბერნატორის განკარგულებიდან გამოვყო და დავუქვემდებარო სამოქალაქო ნაწილის მხრივ მე-77-ტე ტენგინის პოლკის უფროსს პოლკოვნიკ ალვანტს და მასვე ჩავაბარო ხსენებულ მაზრებში დაბანაკებული ჯარების უფროსობაც“...

ახლად დანიშნულმა ალვანტმა სასტიკი ზომები მიიღო რევოლიუციონერების წინააღმდეგ და მოინდომა აჯანყებულ სოფლების გადასახლება ციმბირში, ხოლო ეს რომ არ გაუვიდა, ხელი მიჰყო ცალკე პირების გადასახლებას, რომელთა რიცხვი მოკლე ხანში 300-მდე ავიდა. ამავე დროს სოფლები აავსო კაზაკებით და ჯარისკაცებით.

სისხლისმღვრელ შეტაკებას კაზაკებთან ადგილი ჰქონდა სოფ. მჭადისჯვარში. აქვე მოგვყავს მთავრობის იძულებითი ოფიციალური განმარტება ამ შეტაკებისა სიტყვა-სიტყვით.

„სოფელ მჭადისჯვარში მომხდარ სამწუხარო შემთხვევის გარემოება შემდეგში მდგომარეობს: რადგანაც არ სოფლის გლეხები ღალის მიცემაზე უარს ეუბნებოდენ თავ. ბაგრატიონ - მუხრანსკის, 31 ივლისს მაზრის უფროსმა გაგზავნა ამ სოფელში ბოქაული, რომელსაც დაევალა, სხვათა შორის, სამი გლეხის დატუსაღება, რომლებიც სოფლელებს აქეზებდენ — მემამულეს არაფერი მისცეთო. ეს გლეხები რომ დაიჭირეს, სოფელ მჭადისჯვარის გლეხებმა შეკრიბეს 300 კაცი და დატუსაღებულნი ძალით გაანთავისუფლეს. მაშინ სოფელში გაიგზავნა ქვეითა ჯარის ნახევარი როტა და რამოდენიმე ყაზახი, რომელთა დახმარებითაც გლეხებს გადაახდევინეს მემამულეების კუთვნილი ღალა. 3 აგვისტოს მემამულის სახლთან დილიდანვე შეიყარა თავი ხალხმა. სოფ. მჭადისჯვრის გარდა იქ იყვნენ არამც თუ დუშეთის მაზრის სოფლებიდან, გორის მაზრიდანაც კი.

„შუადღისას მემამულის ალაყაფის კარებთან თავი მოიყარა ათას კაცზე მეტმა, რომლებიც თხოულობდენ წინა დღით წაღებულ ღალის დაბრუნებას, ამასთან ჰყვიროდენ და კეტებს და ორთითებს ხელში ატრიალებდენ. პატარა ხანს უკან იმ ადგილას მივიდა მაზრის უფროსი. გლეხებმა მაზრის უფროსს კატეგორიულად და უკმეხად განუცხადეს, ჩვენ შევიყარენით, რომ წავართვათ უკანვე მემამულეს ღალები, რადგან ამის შემდეგ მემამულეებს არაფერს მივცემთო. მაზრის უფროსი ბევრს ეცადა ხალხი დაემშვიდებინა, მაგრამ ვერაფერს გახდა და როდესაც პოლკოვნიკმა თონ-ბიუმგარტენმა გააფრთხილა ხალხი — იძულებული ვიქნები იარაღი ვიხმაროო, ხალხი მას გარშემო შემოერტყა და მისი და ბოქაულის ცემა მოინდომა. მაშინ მაზრის უფროსმა წინადადება მისცა კაზაკების ოფიცერს ხალხი გაეფანტა. ოფიცერი უკაზაკოთ მოუახლოვდა ცხენით ხალხს და სამჯერ სთხოვა დაშლილიყვნენ, მაგრამ პასუხად ქვები დაუშინეს. ოფიცერი გამოტრიალდა, გაამწკრივა კაზაკები, უბრძანა ხმლები ეშიშვლათ და ამგვარათ გაემართა ხალხისაკენ. ამ დროს ერთი გლეხი მივარდა ოფიცერს ორთითით და უნდოდა დაერტყა, მაგრამ ცხენი ყალყზე შეუდგა და ოფიცერს ორთითი ასცდა, მაგრამ თავში ქვა მოხვდა და ცხენიდან გადმოვარდა. ოფიცერი წამოვარდა, ბრძანება გასცა ხალხისთვის ესროლათ. 22 კაზაკის გარდა იქ იყო ქვეითი ჯა-

რის ნახევარი როტა, ერთი ვზვოდი და ოფიცერი. მასთან გაგზავნილი იყო მემამულის სახლ-კარის დასაცავად, დანარჩენები კი კაზაკებთან ერთად იყვნენ, ქვეითა ჯარს სროლა არ დაუწყია. სროლის შემდეგ ხალხი გაიქცა. ამის შემდეგ ცნობები მოვიდა 300 კაცზე მეტი მთებიდან სოფელში მოდის გლეხების დასახმარებლად. ოფიცერი კაზაკებით მათ წინ შეეგება და გაფანტა ისინი. ხალხმა ზარების რეკა ასტეხა და ამით უნდოდათ დასახმარებლად ქ. დუშეთიდან ხალხი მოეკრიბათ, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწიეს. დაიჭირეს ერთი, რომელიც ხალხს აღელვებდა.

„შეტაკების დროს, როგორც ჯერ-ჯერობით გამოკვლეულია, გლეხებიდან დაშავდა 19 კაცი. მოკლულია რვა: დაჭრილია თორმეტი. ამასთან მოკლულთა რიცხვში სოფ. მჭადისჯვრის მცხოვრები მხოლოდ სამია. მეორე მხრივ ოფიცრის გარდა დაშავებულია ორი კაზაკი და დაჭრილია კაზაკების რამდენიმე ცხენი.

„5 აგვისტოს დილით ამ ადგილას მივიდა გენერალ - ადიუტანტი თავადი ამილახვარი რადგანაც გლეხები მემამულის სახლ-კარს განადგურებას უქადიდენ, იქ ჯარის ერთი როტაა დაყენებული.

„8 აგვისტოს სოფ. მჭადისჯვარიდან სამი ვერსის მანძილზე მიმავალ ჩაფარსა და ორ კაზაკს სათარიდან თოფები დაუშინეს, ერთი კაზაკი იქვე მოჰკლეს, მეორეს ცხენი დაუჭრეს.

„10 აგვისტოს მჭადისჯვარის გზაზე ორი ტყვიით დასჭრეს თავ. ივანე ბაგრატიონ-მუხრანსკი.

„რადგან გორისმაზრის თავად-აზნაურები აცხადებენ, რომ მათ მოკვლას უქადიან და ძალას ატანენ გაზეთებში გამოაცხადონ,რომ თავის ნებით გლეხებს უთმობენ სანადელო მიწებს და თანახმანი არიან საკუთარ მიწებში მეოთხედის მაგივრად მეათედი მიიღონ, გორისა და დუშეთის მაზრებში მეფის-ნაცვლის მიერ გაგზავნილი გენერალ - ადიუტანტ თავ. ამილახვარი აცხადებს, რომ ამგვარ ცნობებს ყველა სიფრთხილით მოეპყრას“...

ამნაირად საუკუნოებით დაჩაგრული და დაბეჩავებული ღარიბი გლეხები გამოფხიზლდენ და იარაღს მოჰკიდეს ხელი. გლეხური რევოლიუციონური მოძრაობა ქართლ-კახეთში ღვივდებოდა და პოლიტიკურ ხასიათს იღებდა.

სოფ. ენისელის, გრემის და ნაფარეულის გლეხობამ თავადებს წარუდგინა მოთხოვნა, რათა მათ ხელში გადასულიყო მთელი ტყეები, რაზედაც თავადები არ დასთანხმდენ და იძლეოდენ მხოლოდ ნაწილს, რისთვისაც მემამულეებმა გამოიწვიეს მიწის მზომელი საზღვრების დასადებათ. ამის შესახებ ცენტრარქივის მასალებში მოიპოვება საინტერესო საბუთი, რომელიც მოგვყავს აქ მთლიანად.

ტფილისის გუბერნატორს. „თქვენს აღმატებულებას ვაცნობებ, რომ თქვენი მოწერილობის თანახმად ჩემ მიერ გამოკვლეულ იქნა საქმე კაზაკებისა და ადმინისტრაციის შეტაკების შესახებ თელავის მაზრის სოფ. გრემის მცხოვრებლებთან. მასთან გამოირკვა:

...„ორ აგვისტოს მიწის მზომელი სოლოვიოვი ყვარელის ბოქაულის გედევანოვის და ხუთი ჩაფარის თანხლებით გავიდა სამუშაოდ სოფ. გრემში (მიწების ტეხნიკურ საზღვრების დადების სამუშაოზე). აქ მას დახვდა ასი კაცისაგან შემდგარი ბრბო, რომელიც შეიარაღებული იყო კეტებით, მათ არ შეუშვეს მიწის მზომელი ტყეში სამუშაოთ და მოსთხოვეს დაბრუნებულიყო უკან და სამუშაო არ ეწარმოებინა. ბოქაულმა მიმართა ბრბოს, რომ დაშლილიყო და ხელი არ შეეშალათ მუშაობისათვის, მაგრამ ბრბომ ამას ყურადღება არ მიაქცია და კეტებით შეუტიეს მათ. მხოლოდ ჩაფრების და რამდენიმე კეთილ-გონიერ გლეხის საშუალებით ბრბო შეჩერდა. მიწის მზომელმა დაინახა, რომ ბრბო საკმარისად დიდი იყო და რომ მცირე რიცხვიან ჩაფრებს არ შეეძლოთ შეეკავებინათ იგი — გამობრუნდა უკან.

8 აგვისტოს მიწის მზომელი სოლოვიოვი ყვარელის ბოქაულის გედევანოვის და 50 კაზაკის და მათი კომანდირის ერგარდის თანხლებით და კიდევ ექვსი ჩაფრით გაემართა ხსენებულ სამუშაოზე სოფ. გრემში.

გლეხების ბრბო, როგორც კაცების, ისე ქალების, არა მარტო სოფ. გრემისა, არამედ ახლომდებარე სოფლებისაც დაახლოებით ასე 400-მდე, კვლავ შეხვდენ გზაში მას შეიარაღებული კეტებით (კეტები თითქო საგანგებოთ დამზადებული იყო ამისთვის, თავი გაწვეტიანებული ჰქონდათ, გძელი იყო და მსხვილი. ასეთი კეტები ჩვეულებრივათ არ იხმარება) — ამ ბრბომ განუცხადა მათ, რომ სამუშაოზე არ დაუშვებენ. ბოქაული წადგა წინ და დაუწყო მათ დარიგება, მაგრამ ბრბო ამას არ აქცევდა ყურადღებას და როცა მიწის მზომელმა მოინდომა კაზაკებით გვერდი შემოევლო ბრბოსათვის, რომ ტყეში შესულიყო, ბრბო ყვირილით და კეტებით წინ აღუდგა და შეუკრა გზა, თან კეტებით იმუქრებოდა. მაშინ ბოქაულმა მიმართა ასეულის კომანდირს და სთხოვა გაეფანტა ბრბო მათრახებით. კომანდირმა გააწყო ასეული და ნელი სვლით მიაწვა ბრბოს, მაგრამ ბრბო თვითონ დაეცა თავს კაზაკებს და დიდრონი კეტებით დაუწყო ცემა ცხენებს და კაზაკებს კი ქვები დაუშინა. მაშინ კომანდირმა დაინახა რა, რომ მათრახით ვერაფერს გახდებოდა, მოაბრუნა ასეული და დასცილდა ბრბოს უკან 300-400 ნაბიჯით. ბრბო კი მისცვივდა მათ კეტებით და ქვებით... ამ დროს ბოქაულს, რომელიც იმყოფებოდა ბრბოსა და კაზაკებს შუა, დაარტყეს რამდენჯერმე ჯოხი, ერთი ისე მაგრათ, რომ ძირს დაეცა. ბრბო თავდასხმას განაგრძობდა. მაშინ ასეულის კომანდირმა უბრძანა 12 კაზაკს ესროლათ ბრბოსათვის, მაგრამ სროლა ალბათ ზევით იყო მიმართული, რომ არც ერთი არ დაჭრილა. ბრბო არ შეჩერდა, არამედ ყვირილით და ხმაურით განაგრძობდა თავდასხმას. მაშინ ხელახლა ისროლეს მეორეთ და ბრბოში დაეცა რამდენიმე კაცი, რამაც ნაწილი აიძულა გაქცეულიყო, ნაწილი კი მიცვივდა დახოცილებს და დაჭრილებს... ასეული დარჩა ადგილზე, სანამ ბრბო მთლიანად არ გაიფანტა...

მოკლულია ორი ქალი და ერთი კაცი, დაჭრილია ათი კაცი, რომელთაგან ორი მოკვდა. სერიოზულათ დაჭრილები მოთავსებულია საავადმყოფოში.

გამომძიებელი 12 რიცხვამდე არ მოსულა სროლის ალაგს და დახოცილები დასაფლავებული არიან დროებით. კაზაკთა შორის გაკაწრულია რამდენიმე და აგრეთვე რამდენიმე ცხენი.

მცხოვრებთა განწყობილება ძალიან აღელვებული და მტრულია მებატონეებთან. შემდეგი მუშაობა შესაძლებელია მხოლოდ გაძლიერებულ დაცვის და სხვა მხარიდან მოყვანილ მომუშავეთა შემწეობით, რადგან ადგილობრივი მუშები სამუშაოზე არ გავლენ.

მომრიგებელ მოსამართლის თავად ჭავჭავაძის განცხადებით, ეხლა მოლაპარაკება სწარმოებს მებატონეებსა და გლეხებს შორის საქმის მშვიდობიანათ გათავების შესახებ და სამი დღის შემდეგ დამთავრდება კიდეც, რის შესახებაც გაცნობებთ“...

სოფ. ერწოში (თიანეთის მაზრა) გლეხები დახოცეს და დაკუწეს ხმლებით. ეს იშვიათი შემთხვევა, ხმლებით გლეხების დახოცვა, ოფიციალურ დოკუმენტში ასეა გადმოცემული: „1905 წ. 5 აპრილს ერწოს უბნის ბოქაულისაგან 4 აპრ. მიღებულ იქნა ცნობა, რომ მცხოვრებნი: ბოჭორმისა, ნაქალაქარისა, თოლათსოფლისა, საყდრიანისა და საყარაულოსი რევოლიუციონურ კომიტეტის ორი ქართველ აგიტატორის მოთხოვნით შეიკრიბენ და გამართეს არაკანონიერი კრება, რომელსაც 2000 კაცი დაესწრო სოფ. თოლათსოფელში და აგიტატორების თანადასწრებით აგინებდენ და ლანძღავდენ ხელმწიფე იმპერატორს, შეურაცყოფდენ პიროვნებას და თან შეიარაღებულნი იყვნენ რევოლვერებით და ბომბებით. იმავე საათში სოფ. სიონიდან იქით გაემართა ბოქაული, შავი ზღვის პოლკის მეორე ასეულის ნაწილით, რომელიც 15 კაცისაგან შედგებოდა და მათი კომანდირით ლობოვით. კაზაკებს გარდა ბოქაულს თან ახლდა კიდევ ორი ჩაფარი ვოლომინი და მელეხოვი. გზაში ვკითხულობდით, თუ რად იყო კრება გამართული და რა ხასიათის იყო იგი და ვრწმუნდებოდით ბოქაულის ცნობის სიმართლეში, სანამ თოლათსოფელში მივიდოდით, 2-3 ვერსით დაშორებული რომ ვიყავით — შევამჩნიეთ, რომ სკოლის წინ თავმოყრილია უამრავი ხალხი, როცა ბრბოს მივუახლოვდით, ბოქაულმა გააჩერა კომანდა 30-40 ნაბიჯის სიშორით, თვითონ მიუახლოვდა 15-20 ნაბიჯით დაშორებით და მოითხოვა, რომ კრება დაშლილიყო. მაგრამ ბრბო გაჩუმებული იყო. უფრო შემჭიდროვდა და ყვირილითა და დიდი ჯოხებით დაუწყეს მუქარა. ბოქაულმა დაინახა რა აშკარა წინააღმდეგობა, მიმართა კომანდირ ლობოვს, რომ გაეფანტა ბრბო. უკანასკნელმა უბრძანა—сплети!!! და კომანდით მიუახლოვდა ბრბოს.ბრბოდან გაისმა ორი სროლის ხმა და ბრბო მიცვივდა კომანდირს და კაზაკებს ჯოხებით. კომანდირს მოხვდა კეფაში და ჩამოუვარდა ქუდი. ამის შემდეგ აფიცერმა უბრძანა: „За мною руби!“ და 2-3 წუთში ბრბო ფანტა, რომელიც თოფებით იცავდა თავს ამის შემდეგ ადგილზე აღმოჩნდა მოკლული სოფ. ვაგრანეთის მცხოვრები — ჩხუბია ყორიაული და სოფ. ორევის მცხოვრები მოსე ცოცელაშვილი. დაჭრილები: სოფ. სიონის მცხოვრები — გიორგი ზატანაშვილი, მახარე ზატანაშვილი, გიორგი ბუტინაშვილი, პავლე სამხარელი, ციკლიური, დასკული, ილურიძე და ოზგიაძე“.

ასე უმასპინძლდებოდენ 1905 წლის გლეხთა რევოლიუციონურ გამოსვლებს თვითმპყრობელობის დამქაშები.

**დ. სულიაშვილი**

## საბჭოთა კავშირში საყოველთაო სწავლების ფრონტზე.




პიონერები აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ საყოველთაო სწევლების საქმეში

# „სარმა“-ს გამოფენა

ეროვნული ბიბლიოთეკა



მირზოევი—პლაკატი.

ქართველ მხატვართა საზოგადოებაში შექმნილი უთანხმოება ამ საზოგადოების გაყოფით დამთავრდა. რევოლუციონურად მოაზროვნე და მომქმედი ნაწილი გამოვიდა საზოგადოებიდან და დაარსა საქართველოს რევოლუციონურ მხატვართა ასოციაცია „სარმა“-ს სახელწოდებით.

ამჟამად ახლად შექმნილმა ასოციაციამ გახსნა სურათების გამოფენა ეროვნულ გალერეაში. ცხადია, რომ ამ გამოფენაზე პრაქტიკულად უნდა გამართლებულიყო ის სურვილები და დაპირებანი, რომლის გამომწვევნება ვერ მოახერხეს რეაქციონურად განწყობილ ქართველ მხატვართა საზოგადოებაში.

როგორია ეს სურვილები და იდეოლოგია ამ ასოციაციისა? ამის პასუხს იძლევა გამოფენისათვის გამოცემული დეკლარაცია-კატალოგი. დეკლარაციის მიხედვით: „თანამედროვე რევოლუციონური მხატვარი ისეთი ოსტატი უნდა იყოს, რომელიც თავისი სპეციფიური მხატვრული იარაღით შესძლებს ოქტომბრის რევოლუციის იდეების ფართო პროპაგანდას, დაეხმარება მშრომელ მასას კულტურული დონის აწევაში, გაამახვილებს სოციალიზმის მშენებელ პროლეტარიატის იდეოლოგიურ-კლასიურ შეგნებას და ყოველ მხრივ ხელს შეუწყობს ახალი ადამიანის ჩამოყალიბებას“. ცხადია, რომ ასეთი გაგებით თუ იქნება გაკეთებული სურათი, ის იქნება უდავოთ თანამედროვე და მაშ რევოლუციონური.

თუ ამ დეკლარაციის თვალით გადავხედავთ გამოფენას უნდა ვთქვათ, რომ, სურვილი ახალგაზრდა მხატვრებისა მნიშვნელოვნად განხორციელებულია. ის, რაც ვერ მოახერხა 8 წლის განმავლობაში ქართველ მხატვართა საზოგადოებამ თავის ხშირ გამოფენებზე,—ახალგაზრდა მხატვრებს გაუკეთებიათ; ეს არის: **„თემატიური სიახლე მხატვრობისა“**. ამ გამოფენიდან განდევნილია ბურჟუაზიული ყოფით შექმნილი და ამ ყოფის გამომხატველი სურათები. თითქმის მთლიანად ახალ თემებზეა აგებული გამოფენის მონაწილეთა შემოქმედება. ამ წერილში დავკმაყოფილდებით მარტო წარწერების ჩამოთვლით, რომლის მსგავსი წინა წლების გამოფენებზე იშვიათად თუ შეგვხვედრია.



ლ. გუდიაშვილი—მეშკორის სიკვდილი

„ხელოსანთა შეთქმულება“, „დამკვრელი მაღაროელები“, „კომუნის წევრი“, „ბრიგადირი“, „პარტწმენდა“, „პიონერები კოლმეურნეობაში“, „მეშკორის სიკვდილი“, „დირექტორთან“, „ჩინელი წითელი პარტიზანები“, „პიონერთა ბანაკი“, „ინდუსტრიალიზაციაზე ხელს აწერენ“, „ლეჩხუმის სამეურნეო არტელები“ და სხ. თუმცა ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ თემატიური სიახლე ყოველთვის როდი ნიშნავს თემების მხატვრულად დამუშავებას, ეს გამოფენიდან კარგათ სჩანს. ზოგ ადგილას ეს წარწერები ნაძალადევია და მათ ნაცვლად შეიძლებოდა სულ სხვა წარწერის გაკეთება. ეს კი შემოქმედების ზერელობას ამჟღავნებს. ეს აღნიშნული ნაკლოვანება განსაკუთრებით ეჩნევა ისეთ კარგ მხატვარს, როგორიც არის **კ. სანაძე**. სანაძის სურათების, უმრავლესობა ესკიზებშია მოცემული და მათ აკლია ის მეტყველი და ბეჯითი დამუშავება, რომელიც ამ მხატვარის სურათებს ახასიათებდა წარსულში. თუ რამდენად კარგათ შეუძლია ამ მხატვარს აითვისოს თანამედროვეობა და მხატვრულად გააფორმოს,—ამას გვიჩვენებს ოსტატური კომპოზიციით იშვიათი და ფერებით სავსე სურათი: „ძველი და ახალი“. ასევე კარგათაა გაკეთებული **„ავტოპორტრეტი“**.

**გამოფენაზე** მონაწილეთა ნაწილი ვერ ამართლებს ამ სურვილს, რომელიც გამოთქმულია დეკლარაციის ერთ-ერთ მუხლში. ეს სურვილია: „სტატიურობას, პასიურ ჭვრეტას უნდა დაუპირისპიროთ დინამიურობა, მოვლენათა პერსპექტიული ათვისება, აქტიური კლასიური მიზანდასახულობა. ჩვენი კურსი პროლეტარული რეალიზმისაკენ არის აღებული“.

მხოლოდ **ვლ. ლემონჯავას** სურათებში მოსჩანს ერთგვარი განაღდება ამ დებულებისა. მის შემოქმედებაში, გარდა მოძრაობისა, საგრძნობია კლასიური მიდგომა, რომელიც განუყრელი ნაწილი უნდა იყოს ყოველი რევოლუციონერი მხატვარის შემოქმედებისა. ამავე დროს ამ მხატვარის ნამუშევრებს ემჩნევა საკუთარი სტილი და ფერების ორიგინალური დამუშავება. **გრიგორიანი** ნახევრად მოდერნისტული ხაზებით და ფერებით გაკეთებულ სურათებში იძლევა განწყობილებას. მისი სურათებიდან აღსანიშნავია „ბულადის კუბოსთან“ და შირვან-ზადეს პორტრეტი. **პროფ. ლ. გუდიაშვილი** თუმცა ცდილობს დაუახლოვდეს თანამედროვეობას, მაგრამ მისი „კომკავშირელები“ უფრო ძველ ბატონიშვილებს მოგვაგონებენ. აგრეთვე გაუგებრობას იწვევს მაყურებელში ერთ-ერთ სურათზე გაკეთებული წარწერა: „მეშკორის სიკვდილი“, შთაბეჭდილება ისეთი რჩება, თითქოს სულ სხვა თემაზე დახატულ სურათისათვის შემთხვევით მოუკრავთ ეს წარწერა. მხოლოდ იქ, სადაც მხ. გუდიაშვილი „იდეოლოგიურად“ ძალას არ ატანს თავის თავს,—შეუდარებელ სიმაღლეზე სდგას როგორც ფერების განსაკუთრებული ოსტატი. ასეთი სიძლიერით არის დახატული მისი „უმწეო“. ყურადღებას იქცევს **ზაგრებელნის** „მილებს ეწევიან“ და **ალადაშნოვის** „სამჭედლო“. პლაკატურია და მხატვრულად სუსტი **კვირიკაშვილის** და **მაისაშვილის** შემოქმედება. თვალს აჩერებს „ლუბოკი“-ს სტილით გაკეთებული სურათები **სემიონოვისა** სამოქალაქო ომების დროიდან.



ზაგრებელნი—სამუშაოზე



სანაძე—მაღაროს მუშები.

განცალკევებულად მოსჩანს **მახარობლიძის** შემოქმედება. ერთხელ უკვე გვქონდა შემთხვევა შეგვეფასებინა ამ მხატვარის შემოქმედება, როგორც ეალერესათ თანამედროვე, თავისებური და უდავო ნიჭის გამომხატველი. ამ გამოფენაზე ეს აზრი კიდევ უფრო აშკარად მოსჩანს. მისი ფანქრით ნახაზები რევოლუციით შექმნილი ყოფისა, მთლიანად გამართლებულია როგორც თემატიურად, ისე შესრულებით. როდესაც ამ ნახაზებს ფეიებში ვნახავთ, წინდაწინ შეიძლება ითქვას, რომ, მახარობლიძე ახალი გლეხური ცხოვრების პირველი და საუკეთესო ამსახველია.

მხატვრული ოსტატობით და ფერების გარმონიით კარგ შთაბეჭდილებას ახდენს **აპ. ქუთათელაძის** დიდი ტილო „დახვრეტა ალექსანდროვის ბაღში“.

გარდა ხსენებულ მხატვრებისა გამოფენაზე მონაწილეობას იღებენ: **ა. აკოფიანი, ა. მაყაშვილი, ჯაფარიძე, ვრუის მასის, ს. ხუციშვილი, ვ. ქიქოძე, ლ. ნალბანდიანი, ი. რომანიშვილი, კ. გძელიშვილი.**

გამოფენაზე წარმოდგენილია აგრეთვე ნიმუშები ქანდაკების, გრაფიკის, პლაკატის და თეატრალური მაკეტებისა.

ამრიგად ასოციაციამ პირველი დემონსტრაციით დაამტკიცა თავისი მხატვრული ძალა, ყველასათვის ნათელი გახადა რევოლუციონურ მხატვართა ასოციაციის უპირატესობა ძველ საზოგადოებასთან შედარებით. ამ პირველ გამოფენას, რომელიც გამართლებულად უნდა ჩაითვალოს მიუხედავათ ზოგიერთ ნაკლოვანებისა, ალბათ მოჰყვება შემდგომი საქმიანობის სისტემატიური დემონსტრაცია.

ბ. ზ.



ლემონჯავა—1905 წელი.



მირზოევი — პლაკატი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# განახლებული კახეთი

რამდენიმე წლის დაუღალავმა შრომამ და მშრომელი ხალხის დაუშრეტელმა ენერგიამ შესცვალა ალაზნის საუკუნოებრივი წყვლილობის გზა. ალაზნის არხი, კახეთის სიამაყე, მისი სასოფლო მეურნეობის გარდაქმნის უძლიერესი ენერგეტიული საფუძველი, დღეს რწყავს ალაზნის ველის რამდენიმე ათეულ ათას ჰექტარს ყამირ მიწას. მან ჩაუყარა საძირკველი ალაზნის ველზე ბამბის და კენაფის კულტურების განვითარებას. მის დიდს, ხელოვნურ წყალვარდნილზე სოფ. ბაკურციხის ბოლოზე დღეს შენდება ძლიერი ელექტრო ჰიდროსადგური, რომელიც საწინდარია მთელი კახეთის ჩამორჩენილ მეურნეობის მკვიდრ ტეხნობაზის და ელექტროფიკაციისა.

ალაზანჰესი შეერთებული ელსადგურთა გიგანტ ზაჰესთან, ორივე ერთად კი—რიონჰესთან გადაიქცევა იმ უძლიერეს ჩირაღდანად, იმ დიად კერონად, რომელიც გაანათებს და გაანათლებს საქართველოს ყველა ჩამორჩენილ და მივარდნილ კუთხეებს.

აგერ შირაქის ველი, ჩვენი მეცხვარეობის ტრადიციული საზამთრო სამყოფელი. გულშირაქი—საქართველოს ბეღელი, რომელიც ყოველწლიურად აწვდის საქართველოს მშრომელთ ასი ათასობით ფუთ საუკეთესო პურეულს. ვინ იფიქრებდა წარსულში, რომ ეს ნოყიერი ველი, თავის ზედაპირის გარდა,—თავის სიღრმეშიაც მალავდა ქვეყნის სიმდიდრის დაუშრეტელ წყაროს? ვინ იფიქრებდა, რომ მის წიაღიდან შადრევანებად ამოხეთქავდა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიისათვის უსაჭიროესი ნავთი, რომლის ჭაბურღილების და კოშკების აშენებაზე დღე და ღამ დაუღალავი ენერგიით ფუსფუსებენ მისი ნამდვილი პატრონები—საქართველოს მუშები და მშრომელი გლეხები?

ვინ იფიქრებდა, რომ შირაქის შორეულ ყამირ მიწებს, რომელთაც დასაბამიდან არ უნახავთ უბრალო სახნისის წვერიც კი, —საქართველოს მეცხვარეობის მუდმივ საზამთრო სამყოფელს, — ოდესმე შეაშფოთებდა სასოფლო მეურნეობის თანამედროვე კულტურის და ტეხნიკის რკინის სარდალი? —გულშირაქში, სადაც საუკუნოების განმავლობაში არე-მარეს ახმაურებდა მხოლოდ მწყემსების ნაღვლიანი სალამური, — დღეს მწყობრი რიგებით დარაზმულან ტრაქტორები და საყვირთა ღრიალით ათას ჰექტარობით აბრუნებენ შავს და უნოყიერეს შირაქის ნიადაგს.

აგერ, ქიზიყის მთაგრეხილებზე შემდგარნი—წითელი ინჟენრები ჰგეგმავენ კახეთის რკინის გზის ახალ შტოს შირაქის ნავთიან ადგილებში და „საქართველოს ბეღელთან" მიმავალს. მალე ეს ახალი შემაერთებელი ძარღვი ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალურ ცენტრებს უხვად მიაწვდის პურს და ნავთს.

აგერ ხელუხლებელ ყარაიას თვალუწვდენელ მინდვრებზე გუგუნებენ რიგობით ჩამწკრივებული ტრაქტორები და ამზადებენ 12.000 ჰექტარ საბამბე მიწას.

ვის მოუვიდოდა ფიქრად, რომ ოდესმე კავკასიონის მთაგრეხილის ერთ-ერთ კალთაზე მერცხლის ბუდესავით მიკრული პატარა, მაგრამ ძველთა-ძველი ისტორიული სოფელი საქართველოს სოციალისტურ გარდაქმნის ძლევამოსილ მშენებლობის მონაწილე გახდებოდა? საბუე-გრემის სახურავ ფიქალის წარმოებები, კავკასიონის კლდის ნაპრალებიდან ამოჭრილი შავი ფირფიტები, დღეს ღირსეულად სცვლიან ჩვენი უზარმაზარი მშენებლობისათვის საჭირო თუნუქს.

აქაც ჟრიამული, კოლექტიურ მშენებლობის დიადი აღფრთოვანება, ათასობით შეკავშირებულ მუშების და გლეხების ხელიხელ ჩაკიდებული დაუზოგველი მუშაობა. აქაც ახალ ცხოვრების ძარღვის ცემა, აქაც ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისათვის დამხმარე ძლიერი სიმაგრის აგება.

აგერ ახმეტის ულრანი ტყეები. მთის მაღალ ფერდობებზე შეფენილი ჯერ ხელუხლებელი და მიუდგომელი ძვირფასი ტყის მასსივები. ვინ იფიქრებდა, რომ ათას წლოვან ხეებს, რომელთაც დასაბამიდან ჯერ ადამიანის ხელი არ შეხებია, ჩვენი მრეწველობისათვის უსაჭიროეს ძვირფას ჯიშების და განსაკუთრებით შავი ხის მასალის დიდი მარაგის მიწოდება შეეძლო?

დღეს აქ იშლება—ხე-ტყის გადამმუშავებელი ძლიერი კომბინატი და მალე ახმეტის ულრან ტყით დაფარულ ფერდობებს და ხევებს აახმაურებს დიდი ქარხნების სა-







**ზევიდან ქვევით: ალაზნის არხის ერთ-ერთი მალქაფა; წყლის გაშვება არხში; ცილინდრის ჩაკეტვა.**

ყვითა ძახილი. მალე, მთის მწვერვალებიდან დაგორებული ასი და ათასი წლოვანი მუხების, წაბლების, შავი ხე და კევის ხეების მორები, გადამუშავებულნი უძვირფასეს მასალებად,—ახმეტის ახალ რკინის გზით მოეფინება ჩვენი ქვეყნის საინდუსტრიალიზაციო ცენტრებს.

აქაც დიადი მშენებლობის ახალი ფრონტი, აქაც ათასობით მუშების და გლეხების შემჭიდროებული რიგები, აქაც ახალი ცხოვრების ბრწყინვალე მომავლით აღფრთოვანებულთა მხიარული ყიჟინი, აქაც უქმი ცხოვრების ძველ ტრადიციების ნამსხვრევებზე შრომის და კოლექტივიზმის გამარჯვების დღესასწაული.

აგერ საქართველოს ახალგაზრდა სოციალისტურ მრეწველობის პირმშო შვილი, — თელავის აბრეშუმის ქარხანა, აგერ კოტეხის ახალი საგრენაჟო სადგური, აგერ გურჯაანის ახალ სოციალისტურ ბაღ-ქალაქის დიდი მშენებლობა, აგერ ყანდაურის სარწყავი არხი, აგერ კარდენახის, კოტეხის და თელავის უზარმაზარი ღვინის სარდაფები; მაგრამ ვინ მოსთვლის?

ძველი კახეთი, ფეოდალების „გრძელ მრავალჟამიერის“ და უქმი ცხოვრების ტრადიციული კახეთი—კვდება.

ნაცვლად თავაწყვეტილ წოდებრივ ბატონობისა, ნაცვლად მშრომელთა დამონების და ჩაგვრისა, ნაცვლად საქართველოს წარსულზე ნაღვლიან ბანგების და შამპანურთარზე დამღერილ შიქასტებისა, ნაცვლად სიღიელის, უკულტურობის, ჩამორჩენილობის და ძველი დახავსებულ ყოფა-ცხოვრებისა,—თითქმის ყოველ სოფელში ელსადგურები, სათეატრო და საკლუბო შენობები, რადიო-მიმღები, წიგნები, გაზეთები, კრებები, ბაასები და სწავლა, დაუსრულებელი სწავლა და შრომა.

გაახლებული, წითელი კახეთი დღეს სოციალისტურ მშენებლობის დიად ზეიმშია.

**შ. ტატიშვილი.**

# თეთრი საღამო.

გამოვექეცი კავკასიის მთებს და
შენ მოგეკედლე დიდო რუსეთო,
რევოლუციის შენა ხარ დედა
გულმეამბოხე — ფიქრებ უსევდო.
კვლავ მსურს ვუცქერდე შენს ველებს გაშლილს
შენებრ ვიტევდე წლების სიმძიმეს,
რომ ბრძოლის დროშებს, გაშლილებს ქარში
კვლავ დახაროდეს მზე მოციმციმე.
მოგონებებმა თითქო წამილო
და მოძავალი წინ მედგა სალი,
—ცის ელვარება თეთრი ღამისა
და დასვენების ლამაზი ბაღი.
სად სილაჟვარდე აქრობს ღამეებს
და ქარხნის მუშებს ვეღარ სძლევს თვლემა,
—შევისისხლხორცე ჩემო ქვეყანავ
ყოფა-ცხოვრების მებრძოლი ცეცხლი.
დღეს განთიადის ციმციმით ვხარობ
და მაგონდება საღამო-თეთრი,
ენთუზიასტთა ვიხილე მხარე
და მშენებლობის ქუხილი მკვეთრი.

**კალე ბობოხიძე.**



ტყავის ქარხნის დამკვრელი მუშები



მაუდის ქარხნის დამკვრელმა მუშებმა ყველა მუშები გამოიწვიეს შეჯიბრებაში

# ძღვენი ჩვენს ბრიგადას

„ყარაიაზის“ ფართო ველები,
შორსა ჰკარგავენ ხედვის წერტილებს;
თუ შრომას აღარ შემაწყვეტინებთ
ამ ყანებს თაიზე შემოვევლები.
მაგრამ რას იზამ, უკვე ბნელდება,
მოვძებნოთ ბინა დასაძინარი
თუ ასეთივე დღე გათენდება
ბრიგადელების საქმე წინ არი.
ამხანაგებო! მე ვყვები ამბავს,
როგორ ხალისით და გახელებით
ყარაიაში ვთოხნიდით ბამბას
კომკავშირელი ბრიგადელები.
ჩვენ: თბილისიდან — მზეში დამწვარი,
უფრო მცხუნვარე მზის ქვეშ ვიწოდით,
მოვალეობა ჩვენი ვიცოდით:
—ვუშველოთ ბამბას, — მთავარი რაც არი.
და ჩვენც ვთოხნიდით ხალისით, მღერით
მანქანით დახნულ ულეველ ყანას
და გვწამდა: ბამბის ყოველი ღერი
ნაყოფს მოუტანს მშრომელ ქვეყანას.
„იოლდაშ, ყარდაშ, ო სალოლ სალოლ“—
მხიარულობდენ გლეხები თათრის,
ჩემ თავს ვუთხარი: მოდი ნუ წახვალ,
სხვა დახმარებაც გავწიოთ მათთვის.

**ალ. ჯაფარიძე.**



თბილისის ლურსმნის ქარხანაში დაზგაზე მუშაობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამხ. ვალია ბახტაძის გარდაცვალების გამო

მოკვდა ამხანაგი, რომელმაც მთელი თავისი ენერგია, ნიჭი და ძალა შეალია საკუთარ კლასს.

ვალია ბახტაძე ჩვენი პარტიის ერთ-ერთი უძვირფასესი წევრი იყო. მან ვერ მოასწრო თავისი ნიჭის გაშლა და უდროვოდ დაეცა ბრძოლის ველზე.

ვალია ბახტაძის რევოლიუციონურ მუშაობას ფართო გასაქანი მიეცა 1917 წლიდან. ამ ხნიდან ის დღით-დღე იზრდებოდა და გასაოცრად ვაჟკაცდებოდა როგორც პოლიტიკური მოღვაწე.

ხონის ორგანიზაციის ერთი უნიჭიერესი პროპაგანდისტ- ორგანიზატორი, პარტიული ორგანიზაციების მშენებელი, სამეგრელოსა და სოხუმის აჯანყებულ მშრომელთა მასების მეზაირახტრე და უშიშარი მებრძოლი მენშევიკურ ჯალათებთან—აი ვინ იყო ამხ. ვალია. მთელი მისი მოქმედება, თუ კი ის ოდესმე დაიწერა, უსათუოდ საგულისხმო ფურცლებს შემატებს რევოლიუციის ისტორიას.

ხონის ორგანიზაციის ბრწყინვალე წარსულთან და იმ მოწინავე პოზიციებთან, რომელიც მაშინ ამ ორგანიზაციას ეკავა, უშუალოდ დაკავშირებულია ამხ. ვალიას სახელი. მაგრამ ხონის ორგანიზაციაში მას დიდ ხანს არ დასცლია. 1917 წლის შემოდგომაზე ვალიას იწვევენ ბათომში სამუშაოდ. იმ დროს იქ გამოდიოდა ბოლშევიკური გაზეთები: „ბურევესტნიკი" და „მუშის სიმართლე". ამხ. ვალია ბურევენსტნიკში სისტემატიურად თანამშრომლობდა, ხოლო გაზეთ „მუშის სიმართლე"-ს პასუხისმგებელი რედაქტორი იყო. ამავე ხანებში მუშაობის მთელი სიმძიმე მას გაბედულად გადააქვს ჯარის ნაწილებში.

ამ პერიოდში ამხ. ვალიას ხელმძღვანელობით ბათომის საზღვაო კომიტეტი ბოლშევიკების მხარეზე გადადის. ეწყობა ბოლშევიკური სამხედრო საზღვაო რაზმიც. მენშევიკებმა მოინდომეს ამ რაზმის განიარაღება, მაგრამ ვერ შესძლეს. რაზმის განიარაღების და დაშლის მიზნით ბათომში ჩამოდის მენშევიკების პატრიარქი ნოე ჟორდანია და მისი სანჩო-პანჩო ნოე რამიშვილი. მენშევიკებმა ალყა შემოარტყეს სამხედრო საზღვაო რაზმს. მომენტი კრიტიკულია. ვალია, როგოროც რაზმის შტაბის ხელმძღვანელი, მიდის ნოე ჟორდანიასთან ულტიმატუმით: „გაეცით განკარგულება, რომ ალყა მოიხსნას, თორემ სისხლი დაიღვრება და მიზეზი თქვენ იქნებით"-ო. —ჟორდანია ირონიით უპასუხებს: „თქვენ მისამართი შეგეშალათ, მიმართეთ ნოე რამიშვილს"-ო.

„ჩვენ მივდივართ და ვნახავთ ვინ გაიმარჯვებს"-ო, იყო ვალიას პასუხი. ნოე ჟორდანია დაფიქრდა და იძულებული შეიქნა განკარგულება გაეცა მოეხსნათ ალყა. მაგრამ რამოდენიმე დღის შემდეგ პოლიტიკური სიტუაცია იცვლება მენშევიკების სასარგებლოდ და ვალიაც იძულებული ხდება ბათომის ბოლშევიკური ორგანიზაცია თვით დაშალოს და რაზმის ნაწილები კი გაამგზავროს სოფლად — გურია, სამეგრელოსა და ხონში.

ამ რაზმის დაშლას და მენშევიკურ სამხედრო დიქტატურის გამოცხადებას ბათომში მოჰყვა ბათომის კომიტეტის წევრების გააფთრებული დევნა, გაზ. „ბურევესტნიკი"-ს და „მუშის სიმართლე"-ს დახურვა. ვალია სხვა ამხანაგებთან ერთად იძულებული ხდება დასტოვოს დროებით ბათომი.



ამხ. ვალია ბახტაძე

1918 წელს იანვარს, თებერვალსა და მარტში ვალიას ჩვენ ვხედავთ ქუთაისსა და ხონში. ამ დროს იწყება ლეჩხუმ-სამეგრელოში გლეხთა აჯანყებები. ამ აჯანყებას ეხმაურება ხონის ორგანიზაცია. ორი დღით ხონში ცხადდება საბჭოთა ხელისუფლება. განიარაღებულ იქნა მილიცია და მთელი იარაღი ვალიას ხელმძღვანელობით გაიგზავნა ბანძა-მარტვილში, საიდანაც აჯანყებულები განსვენებულ ამხ. შალვა ასკურავას მეთაურობით უტევდენ ნოქალაქევის მიმართულებით მენშევიკურ ბანდებს, რომელთაც მეთაურობდნენ ვალიკო ჯუღელი, ვლადიმერ ჯიბლაძე და პოლკოვნიკი კონიევი.

სამეგრელოს აჯანყების დამარცხების შემდეგ ვალია ცეკას წინადადებით მიემგზავრება სოხუმის ოლქში სამუშაოდ, სადაც აქტიურ მონაწილეობას ღებულობს ბრძოლაში მენშევიკების წინააღმდეგ.

1918 წელს მაისში მაიკოპიდან მას აგზავნიან სამხედრო დავალებით სერგო ორჯონიკიძესთან, მაგრამ ვერ ასრულებს ამ დავალებას ავად გახდომის გამო. ამ ხანებში ათაბეგოვთან და სხვა ამხანაგებთან ერთად ის ხელმძღვანელობს ჯარის ერთ ნაწილს დენიკინის წინააღმდეგ.

ამავე დროიდან, ვიდრე დენიკინი დაიპყრობდა კავკავს, ამხ. ვალია უკანასკნელ წუთამდე ენერგიულად იბრძვის თეთრების წინააღმდეგ.

1919 წელს 12 თებერვალს ვალია სხვა ამხანაგებთან ერთად გადმოდის ჩრდილოეთ კავკასიიდან საქართველოში. ამხანაგების ნაწილს აპატიმრებს მენშევიკური ხელისუფლება, ხოლო ამხ. ვალია თავს აღწევს დროებით პატიმრობას.

1919 წელს 29 ივნისს ხონში მას აპატიმრებენ და ათავსებენ ქუთაისის საგუბერნიო ციხეში. აქ ის დაჰყოფს 1920 წლის 14 მაისამდე. ციხიდან განთავისუფლების შემდეგ ამხ. ვალიას იწვევენ გაზეთ „კომუნისტი"-ს მდივნად და სარედაქციო კოლეგიის წევრად. ამ ხანებში მის კალამს ეკუთვნის მთელი რიგი წერილებისა მოღალატურ მეორე ინტერნაციონალის მუხანათურ პოლიტიკაზე, რომელიც გამოწვეულ იყო მენშევიკ ბიქტორ თევზაიას წერილებით გაზეთ „ერთობა"-დან.

1920 წელს ივლისის დასაწყისში მენშევიკები კვლავ აპატიმრებენ ამხ. ვალიას და გადაჰყავთ ის ქუთაისის საგუბერნიო ციხეში.

1921 წელს 10 თებერვალს ამხ. ვალიასთან ერთად მეც მასახლებენ საქართველოს საზღვრებიდან. 17 თებერვალს ვალია ბრუნდება ბაქოდან საქართველოში და 25—26 თებერვალს მას უკვე ვხედავთ თბილისში.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან, ვიდრე განუკურნავი სენი მაგრად ჩასჭიდებდა მას ხელს და ლოგინად ჩააწვენდა, ამხ. ვალიას სხვადასხვა საპასუხისმგებლო პოსტებზე ვხედავთ: გაზ. „კომუნისტი"-ს პირველი რედაქტორი, ქუთაისის სამაზრო კომიტეტის მდივანი, გაზ. „წითელ ვარსკვლავი"-ს რედაქტორი, ცეკას საგიტაციო- საპროპაგანდო განყოფილების გამგე, ჟურნალ „მნათობი"-ს რედაქტორი და სხვა.

აი ვინ იყო ვალია ბახტაძე, აი რატომ იყო, რომ მისი სიცოცხლის შენარჩუნებაზე თავგამოდებით ზრუნავდნენ, მას ელოლიავებოდნენ პარტიასთან ერთად ყველა მისი ამხანაგები, რომლებიც ვალია ბახტაძეში ხედავდნენ პროლეტარულ რევოლიუციისათვის ღირსეულ მებრძოლს.

ამხ. ვალია! ხანმოკლე იყო შენი სიცოცხლე, მაგრამ დიდად შინაარსიანი. შენ გააპ ხიერე ის ნიადაგი, რომელზედაც დამყაოებული იქნება მთელი თაობების მუშაობა სოციალისტური მშენებლობისათვის.

**ივ. ბახტაძე.**

# თებერვლის ღამეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენს ქალაქში ორასამდე ქართველი სცხოვრობს და ამ ორას კაცში სანდრო გერიკაული მაღალ მთასავით სჩანს.

დიდი პოლიტიკური მომზადებით, მჭერმეტყველი და გამჭრიახი, ის ყველგან პირველს რიგშია. მას იცნობს მთელი უნივერსიტეტი. უყვარს სტუდენტობას და პროფესორებს. კიდევ მეტი, სანდროს მთელი ქალაქი იცნობს. არც ერთი სტუდენტური საღამო და საქველმოქმედო წარმოდგენა არ არის, რომ სანდრო არ იყოს ხელმძღვანელი.

მხოლოდ შავრაზმელ სტუდენტობას სძულს სანდრო. ისინი ყოველნაირად ცდილობენ მის დაჯაბნას, მაგრამ ამაოდ. სანდროს ხუთი წლის განმავლობაში ზედიზედ ირჩევენ კურსის მამასახლისად.

სანდროს როგორც ადამიანს ხომ ცალი არა ჰყავს. აი უკვე მეორე წელია ერთს ბინაზე ვცხოვრობთ და ესეთი საამხანაგო კაცი ჯერ არ მინახავს. ავადმყოფობაა, უფულობა თუ სხვა გასაჭირი, მას თხოვნა და მოგონება არ სჭირდება.

სანდრო აკადემიური მუშაობით და საქველმოქმედო საღამოებით არ კმაყოფილდება. ის ყელამდე ჩამჯდარია „რევოლიუციონურ“ მუშაობაში.

მას ეტყობა. მუშათა მასები დიდი ნდობით უყურებენ. ერთავად იქ დაიარება, აწყობს რაღაც წრეებს და სხვადასხვა ქარხნებს ერთმანეთს უკავშირებს. სანდრო ამ სამი წლის წინ დაპატიმრებულიც ყოფილა, მაგრამ ბრალდებათა დაუმტკიცებლობის გამო მალე განთავისუფლებიათ.

შავრაზმელები სწორედ ამიტომ უტევენ სანდროს, მაგრამ მას მთელი სტუდენტობის ნდობა და სიყვარული იცავს.

სანდროს ლამაზი. მოხდენილი გარეგნობაც არჩევს დანარჩენ ამხანაგებში: მაღალი ტანის, განიერ მხარ-ბეჭიანი, შავგვრემანი, ხუჭუჭა თმით და შავი ნაკვერჩხლებით განათებული თვალებით, რისი გოგოები ბეღურების გუნდივით დასტრიალებენ მას:

— სანდრო. დღეს სათვისტომოში იქნები? თეატრში? ლექციაზე? ხვალ? ზეგ?

მაგრამ სანდროს შუქმოფენილი თვალები დაუდევარი განურჩევლობით ანათებენ და კიდევ უფრო ცეცხლმოდებული გოგოები ეხვევიან, შესცინიან და მისტრიალებენ მას.

—:—

1917 წ. თებერვლის მოუსვენარი დღეებია. ჩვენს იქით ომია. ქალაქში პურის ნაკლებობაა. საფურნეებთან ჩამწკრივებულ კუდებს გარს ჩასაფრებული პოლიციელები არტყია. ისმის შეწუხებული წყევლა და ბრაზიანი გინება...

ქალაქში, განსაკუთრებით მუშათა უბნებში, გახშირდა ჩხრეკა-დაპატიმრება. ამ ერთ კვირაში ჩვენს ბინას ორჯერ ეწვია პოლიცია, მაგრამ მათ სანდრო ორჯერივე გაუსხლტა. მას დღისით სძინავს, დაბინდებისას მიდის და გვიან, გათენებისას ბრუნდება.

სანდრომ გუშინ მითხრა: ამ დღეებში ჩავარდა ესერების და ესდეკების ფარული სტამბა. მის სახეს შინაგანი წუხილის ღრუბელი აქვს მოფენილი. ერთავად დარბის, მოაქვს რაღაცა პატარა ყუთები, მერე ისევ სადღაც მიაქვს...

ერთ დღეს ჩვენი ქალაქი ძირიანად შეირყა. ეზოებში, ქუჩებში, მოედნებზე ხალხი აირია. საფურნეებთან კუდებს კუდები მიემატა, შემდეგ უეცრად დაიშალა, მრისხანე ტალღებად აგორდა და უბნებიდან უბნებს გადაუარა. ძუძუებ ამოყრილმა დედაკაცებმა აკიდებული ბავშვებით შემოიარეს ქუჩები:

— პური, პური, პური!

მუშათა უბნები აიყარა და შავი ურდოები ქალაქის გულს მოიცვა. მიტინგები, კრებები, ძახილი და ყიჟინაა ყველგან. ქვეყანა თითქოს უზარმაზარი ბულულია ცეცხლის ალში გახვეული. სანდრო ამ ბულულის თავს მოექცევა და ანთებულ ნაღვერდლებს ისვრის აბობოქრებულ ზღვაში.

მიტინგიდან, მიტინგზე, კრებიდან კრებაზე დაფრინავს და მეზარესავით რეკს განთიადს.

— სანდრო, სანდრო, სანდრო!

ყოველი კუთხიდან, ქარხნიდან, მოედნიდან ისმის ძახილი. დავთრებ არეული პოლიცია ხან ერთბაშად ავსებს ქუჩებს, ხან უეცრად ქრება.

ეძებენ სანდროს. ჩვენ ბინას მესამედ ესხმიან თავს, ყირაზე აყენებენ ქართველ სტუდენტთა ბინებს და საერთო საცხოვრებლებს, მაგრამ ამაოდ...

სანდრო მიწის მგელივით ქალაქის ხან ერთს უბანშია, ხან მეორეში, ყველგან მას კითხულობენ, მის განკარგულებას ელიან.

—:—

საბარგო ავტომობილებზე გაწოლილები მოკლე ყარაბინებით, ხელში საკატორღო ციხისაკენ მივქრით. რევოლიუციის პირველ მეომრებს თავისუფლების ამბავი უნდა ვახაროთ. მღვიმეებში, აკლდამებში, ცოცხლად დამარხული ადამიანები უნდა ამოვთხაროთ.

შუაღამე მილეულია. ქალაქის განაპირას ვართ. შორიდან ისმის ხანგამოშვებული, იშვიათი სროლის ხმა.

აი შავად ამართული ციხეც. ჩვენს წინ მაღალი, დაკბილული გალავანი, საყარაულო კოშკები და კოშკებზე ქვის კაცებივით უძრავი, შავი, ხიშტიანი ჩრდილები.

ციხის ზარმა სამჯერ გაიწკრიალა. რაზმის უფროსი ავტომობილიდან გადმოხტა, ჩვენ თოფები მოვიმარჯვეთ.

— უფროსი ჩქარა!

— უფროსი! უფროსი!—ხმა თოკივით გაჰყვა გალავანს იქით. ციხის მაღალ სართულიან, ვიწრო სარკმლებიდან გაბმული ხმა მოისმა.

ალაყაფთან ელექტრო სანათური აენთო და ვიწრო თაღიან კარებში ხოხბის ბოლოსავით გრძელი ულვაშები გამოჩნდა.

— ვინ კითხულობს უფროსს!

რაზმის უფროსმა უსიტყვოდ გადააწოდა რევოლიუციურ კომიტეტის ბრძანება. ციხის უფროსის თვალები ბუდეებიდან ამოცვივდნენ და ხელებმა კანკალი დაუწყეს.

— მე მხოლოდ გენერალ-გუბერნატორის და პროკურორის ვემორჩილები!

— პროკურორიც და გენერალ-გუბერნატორიც დატყვევებულნი არიან!

— ეს რომ მომხდარიყო მათი აღმატებულება...

— ხელები მაღლა თქვენო კეთილშობილებავ თორემ!..—გააწყვეტინა რაზმის უფროსმა და რევოლვერის შავი ლულა შევერცხლილ მკერდზე წმინდა ვლადიმერის ჯვარს დააბჯინა.

ჩვენ ერთ წამში ალაყაფს შემოვეხვიეთ და ყბადაღებული ციხის უფროსი თვალის დახამხამებაში, ბოღჩასავით შევაგდეთ მანქანაზე..

ციხის მცველებმა ალბათ უკვე იცოდნენ რაში იყო საქმე, წინააღმდეგობის გაუწევლად შეგვიშვეს ეზოში. სადაც ციხის უფროსის ახალგაზრდა თანაშემწე შეგვეგება და რაზმის უფროსს თავაზიანად ჩამოართვა კომიტეტის ბრძანება.

— ჩვენ აქამდისაც გელოდით ამხანაგო, გესმით გუგუნი? ეს პატიმრები ბობოქრობენ, კედლების დანგრევას ლამობენ. განთავისუფლებას მოითხოვენ! მივდივართ. დერეფანში გაბმული გუგუნი ისმის. დერეფნიდან მარჯვნივ ბნელ აკლდამას უხვევთ და ფართო ოთახში შევდივართ, ოთახის ოთხ კედელს თითო დიდი რკინის გალია აქვს მიდგმული.

ციხის უფროსის თანაშემწემ რაღაც ანიშნა მაღალი ტანის ზედამხედველს, რომელიც სწრაფად გატრიალდა და ერთ წამში ხალხის ადუღებულმა მდინარემ აავსო დაბნელებული ოთახები, ქვის კიბეები და რკინის გალიები. მაზარის ნაცრისფერი შალვრები, ხალათები. ქუდები გასაფრენად მომზადებულ ფუტკრის ბუდობასავით აფუსფუსდა და აირია ერთმანეთში.

სახეები დამჭკნარნი, დაღარული, ფერწასული; თვალები ორმოებში ჩამძვრალი, ჩასაქრობად მილეული—გვეძახიან აქეთ იქიდან.

— მეც წამიყვანეთ, ამ ღამეს ველარ გადავიტან!

— მე სიაში არ ვარ, მაგრამ თავისუფლება მინდა!

— რომ დამაბათ, მაინც ვერ გამაჩერებთ აქ!..

ერთმანეთში ირევა ძახილი, ხვეწნა, მუდარა და გინება...

ზოგიერთი პატიმრები თავისუფლად არბიან და ჩამორბიან კიბეებს, ზოგნი კი ისევ გალიების იქით არიან და რკინის ხლართებიდან მოგვძახიან...

— ჩვენც გვინდა მზე და ჰაერი, ჩვენც გვინდა თავისუფლება, ჩვენც ადამიანები ვართ, გახსენით კარები, ყველასათვის გახსენით!

ციხის უფროსის თანაშემწე, რაზმის უფროსი, რაზმელები, ყველა წესრიგს ვიცავთ, მაგრამ ვის ესმის სიტყვა... ქვის კედლებში დამწყვდეული მდინარე ჩვენს წალეკვას ლამობს...

აგერ გალიაში ჭაღარა შერეული, გაყვითლებული, გრძელ წვერა ჩონჩხი ულონოდ დაჰკიდებია რკინის ჩარჩოებს და შვილმოგლეჯილ ძროხასავით ბღავის. საერთო ჟრიამულში და გუგუნში მკაფიოთ მესმის ქართული მოქცევა.

— მიშველეთ... მიშველეთ!...

გაყინული ჟრუანტელი მივლის სხეულში. ვინ იქნება ნეტავი, ან სადაური! საცოდავი, ცოცხალი ხომ ველარ მიაღწევს თავის კერამდე!..

— მიშველეთ... მიშველეთ, აქ ნუ დამტოვებთ!... საერთო ჟრიამულში ისევ ისმის ბღავილი.

— სისხლის სამართლის პატიმრებში მოთავსებულია ცნობილი რევოლიუციონერი გიორგი მარლელი. მას ყველა ქართველი ამხანაგი იცნობს, ვიცით მისი წარსული ბრძოლა, თავგადასავალი. ძალიან დაუძლურებულია. მცირე ხნის დაგვიანებაც საბედისწერო იქნება მისთვის!—უცნობი კატორღელი ეუბნება რაზმის უფროსს.

როგორ, მარლელი! ერთ დროს განთქმული რევოლიუციონერი, შემდეგ დიდი ტერორისტი, რომელიც ჩემს ბავშვობაში თავის რაზმით შიშის ზარს სცემდა მთავრობის მოხელეებს! ნუ თუ ეს ის მარლელია?..

— აგერ ამხანაგო, ხედავთ რკინებს იქით, ძლივს სდგას ფეხზე! ჩვენ ყველა მზად ვართ აქ დავრჩეთ, ოღონდ ის ეხლავე გაიტანეთ ამ კედლებიდან.—დაჟინებით გვიმეორებს კატორღელი.

რაზმის უფროსმა მაშინვე გასცა ბრძანება და როდესაც გალიას რკინის ურდული აჰყარეს, ჩონჩხს უიმედო ბღავილი, ერთმანეთში არეულ სიცილად და ტირილად შეეცვალა...

—:—

უკვე ციხის ეზოში ვართ. მრავალსართულიან ფანჯრებიდან მოგვდევს ძახილი, ხვეწნა და გინება:

— ჩვენც ადამიანები ვართ, ჩვენც გვინდა მზე და ჰაერი: ამხანაგო კატორღელებო, ნუ დაგვივიწყებთ!

ციხის მაღალი ალაყაფი მძიმე ხრიალით იღება და რამდენიმე ასი აკანკალებული მოხლი დაუჯერებლად აბიჯებს შავად გაწოლილ რკინის თირეს, წინათ აქედან გვამები გაჰქონდათ მხოლოდ, თითოს ექვს შაურად ყიდულობდა უნივერსიტეტის ანატომიური თეატრი. ეხლა კი მიცვალებულები აკლდამებიდან აშლილან და ფეხადგმული ჩონჩხები დაუბრუნებლად შორდებიან ამ უზარმაზარ საძმო საფლავს.

— წყეულიმც იყავ, წყეულო!—მიმავალი ჩრდილები ზიზღით მისძახიან სიბნელეში დაძირულ კოშკებს.

— მშვიდობით, ნუ დაგვივიწყებთ!—კედლების გადაღმიდან ისმის ღამეში უკვალოდ დაკარგული ხმა.

ავტომობილები დაიძრა, ჩვენს მანქანაზე პირქვე გდია დარგვალებული ბოხჩა. ბრუ

ნავს, ხვნეშის, ეტყობა რაღაცაზე ნაწყენია, ჩვენც მართლა ძალიან უზრდელად ვირჯებით. აგერ ერთმა ტყავის ხალათამ შევერცხლილ უნაგირზე ლაფიანი ფეხი დაადგა და ბოდიში არ მოიხადა...

რა უხეში და ხეპრეა ეს უსწავლელი ხალხი!..

მანქანები კივილით მიჰქრიან. ქუჩებში დაულევველი ხალხის მდინარე მოაგორებს ტალღებს. გვესვრიან ქუდებს, ცხვირსახოცებს, რაღაცას მოგვძახიან, მაგრამ ხმა ქარს მიაქვს და გაყინული ნამქერი თვალებს ვერცხლის ბურბუშელით გვივსებს.

რევოლიუციონური კომიტეტი მოთავსებულია ქალაქის თვითმმართველობის შენობაში. წინ ფართო მოედანია, მოედანზე კი ხალხის თვალუწვდენელი ზღვაა, რომლის ტალღები ეხეთქებიან ხან ერთსა და ხან მეორე ნაპირს.

ავტომობილები გამოჩნდა თუ არა, ყურთასმენის წამღები გუგუნი მოედო მოედანს!..

გაგიჟებულმა ტალღებმა ღონე მიხდილი და მოულოდნელობით აკანკალებული ჩონჩხები მანქანებიდან გაიტაცეს და ხელდახელ წაიღეს მათთვის წინდაწინ გამზადებულ დარბაზში.

ჩვენს მანქანაზე დაგდებული ლეშის ტომარა, ვიღაცას კატორღელი ეგონა, ღონიერი მკლავები მოხვია, მაგრამ ხელში ციხის უფროსის დაღრეჯილი სახე შერჩა და ზიზღით გადააგდო ქვაფენილზე...

უზარმაზარ შენობას თითქოს მიწის ქვეშა ტალღები აქანავებენ. დარბაზი გუგუნებს. კიბეებზე წითელნიშნიანი რაზმელები დაჰქრიან. ნაცრისფერ მაზარებში გახვეული აჩრდილები იცინიან, ტირიან, კანკალებენ.

ჩემთან უცნობი მაღალი ტანის მუშა მოდის. მეკითხება:-სად არის სანდრო. ამ დღეებში ხომ არ გინახავს სადმე! გაშტერებული ვრჩები. ცოტახანს შემდეგ კომიტეტში მეძახიან. აქაც ყველა შეწუხებული და შეშფოთებული შემომცქერის!

აქეთ-იქიდან მეხვევიან, მეკითხებიან. მე კი გაშტერებული ვდგევარ, პასუხი ვერ გამიცია.

ეს ხომ ჩემთვის სრულიად მოულოდნელი ამბავია? მე სანდრო აქ მეგონა, აქ ამ უზარმაზარი მორივის გულში და სათავეში.

ყველა შეწუხებული და დაბნეულია: უნდათ გაიგონ, როგორმე მიაგნონ კვალს, მაგრამ სად, როგორ... მთელი ქალაქი ყირაზე დგას, ყოველი ქუჩა ზღვაა, ყოველი მოედანი ხანძარი.

მივდივარ. დერეფანში ამხანაგები მეხვევიან:

— ხომ არაფერი გაუგიათ სანდროს შესახებ!

— უსათუოდ მოჰკლავდენ სადმე!

— კი, მაგრამ, ეს ამბავი ხომ აქამდის ეცოდინებოდა ვისმე!

ყველა შეწუხებული და შეშფოთებულია, ყველას უნდა ამბის გაგება, მაგრამ... როგორ!

—:—

ოთახში ჭიანჭველასავით ირევა ხალხი, ტელეფონები მოუსვენრად წკრიალებენ. რაზმელები სხვადასხვა დავალებებზე დაჰქრიან. მოჰყავთ დაჭერილები, დაპატიმრებულები.

ნაცრისფერ მაზარებში გახვეული ჩონჩხები დაქანცა ამდენმა ალტაცებამ და სიხარულმა. მათ შიათ, დასვენება ესაჭიროებათ. კომიტეტს ხვალ მათთვის ყველაფერი ექნება. დღეს კი ჩვენ უნდა გაუწიოთ მასპინძლობა, ვისაც როგორ შეგვიძლიან.

ყველა სიხარულით ეპატიჟება მათ, ამხანაგებს სტუმრების გაყოფაზე ჩხუბი მოსდით. მე მარლელს ვუახლოვდები და თითქო არ მინდა მყუდროება დავურღვიო, ფრთხილად ვეჩურჩულები:

— ამხანაგო გიორგი, თქვენ ჩემთან წამოდით, თბილად მოგასვენებთ და მაზარის ტომაოსაც გამოგიცვლით!

— სიხარულით, სიხარულით ბიჭებო, წამიყვანეთ, საცა გინდათ წამიყვანეთ, ჩემთვის ქვეყანა ეხლა ყველგან ერთნაირად ტკბილია და საყვარელი!..

რაზმელებს მთლად გაუნთავისუფლებიათ მოედანი, მსუბუქი მარხილები მგზავრების მოლოდინში დასრიალებენ ყინულზე.

— ამხახაგო მეეტლე:.. მეეტლე, არ გესმის, შენ გეძახი!.. მეეტლე, ეტყობა ყრუა, ჩემი ძახილი არ ესმის. ხელით ვეჭიდები მარხილს, ვაჩერებს... რაზმელები მეშველებიან, ფრთხილად მოჰყავთ გიორგი, ვსხდებით მარხილში და ჩემი ბინისკენ მივქრით.

— როდისმე გიფიქრიათ კი, რომ ასე უცაბედათ გეღირსებოდათ თავისუფლება?

— მე ციხეში სრული ცხრა წელიწადი შევასრულე და ექვსი კიდევ დამრჩა. ექვს წელს კი არა, ექვს თვესაც ველარ გასძლებდენ ჩემი ძვლები...

— ვინ იცის რამდენი ახალგაზრდა სიცოცხლე დაიღუპა იმ საშინელ ჯურღმულებში.

— ბევრი, ძალიან ბევრი მეგობარო! ხომ გახსოვთ სტუდენტი ხომასურიძე, შარშან სწორედ ამ დროს დაიღუპა, ორნი ერთ კამერაში ვიყავით უკანასკნელ დრომდე. სიკვდილის წინ ერთს კუნჭულში რკინის პატარა ნატეხით ამოთხარა სამი პროვოკატორის სახელი და შემეხვეწა: ვინიცობაა გასვლა გეღირსოს—მათი სისხლი აიღეო. განსაკუთრებით ზიზღით იგონებდა ერთ-ერთ სტუდენტს, სახელი და გვარი არ მახსოვს. ხვალვე წავიდეთ, მათი ვინაობა დროზე უნდა ეცნობოს რევოლიუციონურ კომიტეტს.

— სტუდენტი? არა ეგ ტყუილია. მთელი პროვოკატორების სია ხელთ აქვს რევოლიუციონურ კომიტეტს. დიდი უმრავლესობა უკვე დავაპატიმრეთ. მათში არც ერთი სტუდენტი არ ურევია...

— ნეტავი ასე იყოს,—ჩურჩულით მეუბნება ჩემი სტუმარი.

მეეტლე არაჩვეულებრივი სისწრაფით მიაქროლებს მარხილს, ცხენზე გადაფენილი ბადე ველარ იჭერს ყინულის ნაფლეთებს და თვალებს ძლივს ვახელთ.

— ნელა, ამხანაგო მეეტლე! ნელა მეთქი ამხანაგო, არ გესმის?—მივძახი ზედიზედ, მაგრამ ეტყობა ის მართლა ყრუა... ოფლში გაცლებულ ცხენს მთელი ძალღონით უჭნევს წკეპლას და კიდევ უფრო მეტი სისწრაფით მიაქროლებს.

სამი ღამეა არ მძინებია, ამ სავაზნეებმა და თოფმა ლამის მხარი ჩამომგლიჯონ. ჩქარა მივიდეთ სახლში, ჩქარა დავისვენო, ერთ საათსაც რომ ჩავთვლიმო, isაც მეყოფა!..

— ამხანაგო მეეტლე მეთერთმეტე ნომერთან გაჩერდი!—მთელი ძალღონით დავყვირი ჩვენ ყრუ მემანქანეს.

მას ეხლა კი ესმის ძახილი და ჩვენს შესავალთან ჩერდება. გიორგი ფრთხილად ჩამომყავს მარხილიდან და საფულეს ამოსაღებად მიმაქვს ხელი, მაგრამ მეეტლე ხელდახელ აბრუნებს მარხილს და თავქუდმოგლეჯილი მიაქანებს ცხენს.

— ამხანაგო მეეტლე ფული, ფული დაგავიწყდა!—მივყვირი რაც შემიძლიან. მაგრამ მეეტლე უკან მოზრუნებულად მიჰქრის, თან ცალი ხელით მარხილის ნომერს ტყავის ქუდს აფარებს.

სწორედ გიჟია ვიღაცაა, უსათუოდ გიჟია!... მთელი გზის სიგრძეზე კრინტი რა არის, არ დაუძრავს. თუ რამეს ვკითხავდი, არ მიპასუხებდა. მოგვიყვანა, ფული არ გამოგვართვა და გადარეულივით მოჰკურცხლა...

— იაგას ნუ ამბობ მეგობარო, ვინ იცის, განგებ არ გამოგართვა ფული, ჩვენი პატივისცემა უნდოდა... რა ქნას საწყალმა, მეტი არ შეუძლიან, ეგ თავის მარხილით ეხმარება რევოლიუციას,—გულკეთილად მეუთიება ჩემი თანამგზავრი.

უკვე ოთახში ვართ. ჩვენს მსახურს ქვანახშირით ყელამდე აუვსია ღუმელი, რომელიც წითლად ღუის და მკრთალი სინათლით ანათებს ოთახს.

ჩემს სტუმარს ღუმელის წინ ვუდგამ სკამს და ჩამოჯდომას ვშველი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



კახელი კოლმეურნენი დასვენების დროს



სოფ. მალაროს კოლექტივის წევრები ხელს აწერენ სესხზე „ხუთწლედი 4 წელში“

— დაბრძანდით ამხანაგო, დაბრძანდით... მე ეხლავ ღარიბულ სტუდენტურ სუფრას გავშლი!

ის ნელნელ სქელი ტომარის დუგმებს იხსნის და ჩამქრალი თვალებით ათვალიერებს პატარა ოთახს, მე კი მძიმე სავაზნეებს და თოფს სანდროს საწოლზე ვყრი.

მართლა სანდრო, ნეტავ რა იქნა, სად წავიდა! ნუ თუ ასე უცბათ ერთი ხელის დაკვრით გადაიჭრა მისი ცხოვრების გზა; არა?!. არა მჯერა სანდროს ასე უდროოდ დაღუპვა... ის უსათუოდ ცოცხალია და დღეს არა ხვალ—ისევ გამოჩნდება სადმე.

მე და ჩემი სტუმარი უკვე ვახშამს შევექცევით, ჩვენ სუფრას ღარიბი სანოვაგე არ აკლია. კიდევ ვიშოვიდი რამეს, მაგრამ საცაა თენება მოატანს. ამ დროს კი აბა სად რას ვიყიდდი!

— უკაცრავად, არ კი გეწყინოთ უხერხული კითხვისთვის! ამდენ ხანსაც მინდოდა, მაგრამ ვერ გაგიბედეთ. საიდან, რომელი კუთხიდან ბრძანდებით!—ცნობისმოყვარეობით შემომცქერის ღუმელზე აწითლებული ჩონჩხი.

როგორ არ მინდოდა მას ჩემი ვინაობა გაეგო! მე ხომ მისი ახალი მეზობელი ვარ. რა ვქნა, როგორ ვუპასუხო, რა ვუთხრა, როდესაც თავის ცოლშვილის ამბავს მკითხავს!..

მე იატაკზე ვიცქირები, მისი თვალები კი ვატყობ ჩემსკენ არიან მომართულნი, დაჩქაოებული ვუპასუხებ:

— ირმიხეველი გახლავართ, გაფრინდაული!

— ირმიხეველი, გაფრინდაული!.. ვისი ხარ ბიჭო, მამაშენს რა ჰქვიან? იქნებ ჩემი ცოლშვილის ამბავი იცი, ექვსი წელია არაფერი გამიგია!..

რა ვქნა, რა ვუთხრა! როგორ გავაგებინო, რომ მას ცოლშვილი კარგა ხანია აღარ ჰყავს, როგორ ვუმახარობლო მის უბედურებას!

— მითხარ, მითხარი გამაგებინე თუ რაიმე იცი!.. ნუთუ ცოცხალი აღარავინ დარჩა, რომ ჩემს დანგრეულ კერაზე მომეგებოს! ყელზე მეკიდება, მეხვევა, შემომბლავის, შეშინებული თვალებით ჩამჩერებია თვალებში და პასუხს აღარ მაცლის, ალბათ ეშინიან, გრძნობს მოსალოდნელ უბედურებას და ისევ იმას მეკითხება, ისევ თავისას მიმეორებს.

ამ დროს ქუჩაში თოფის ხმა ისმის და ჩვენი ფანჯრის დამსხვრეულ მინებს იატაკზე წკრიალი გააქვს. სროლის ხმა მეორდება. ჩონჩხი უეცრად შტერდება, ერთს ადგილას უძრავად რჩება, შემდეგ ბარბაცით ეყრდნობა მაგიდას და ხელით მანიშნებს ფანჯარას მოვერიდო...

ვერაფერი გამიგია. დაზნეული შევყურებ მას და მხარში ხელს ვავლებ. მინდა ავაყენო, მაგრამ ეს რა არის, ხელზე რაღაცა თბილს სისველეს ვგრძნობ!

— სისხლი, სისხლი... მიშველე!—ზარდაცემული ჩონჩხი შემომბლავის. მის გამხმარ ტომარაზე წითელი წყარო მორბის და იატაკზე გუბდება.

— დუნია... დუნია... მიშველეთ!—რაც ძალი და ღონე მაქვს ვკივი, თავს ვანებებ დაჭრილს და, მე თვითონ არ ვიცი რისთვის, ქუჩაში გავრბი...

ქუჩაში არავინ არის, არც ერთი ძე-ხორციელი. მხოლოდ ქუჩის ბოლოს მარხილი დგას, რომლისაკენაც ტყავის ქუდიანი, მაღალ-მაღალი მეეტლე გარბის.

რა არის ეს! საზმარია თუ მოჩვენება!.. სწორედ ის არის, ის მეეტლე, ამ ორი საათის წინ, რომ მოგვიყვანა. სწორედ მან გვესროლა ტყვია, აქ სხვა არავინ არის! აგერ თოფი და სავაზნე ფანჯარასთან დაუგდია.

თოფს ხელში ვიღებ, ვსინჯავ ვაზნებს. მიზანში ვიღებ მეეტლეს, რომელიც უკვე ჩაჯდა მარხილში და მთელი სისწრაფით მიჰქრის.

ვესვრი ერთს, ორს, სამს, მაგრამ ხელები მიკანკალებს, ეტყობა ვაცილებ ტყვიას... მეეტლე თვალს ჰფარდება.

ეზოდან ხალხი გამორბის, მეხვევიან, მიძახიან!.. ყველას გიჟი თუ არა მთვრალი მაინც ვგონივარ და ძალით მიმათრევენ ოთახში

მოხუცი დიასახლისი და დუნია დერეფანში უიმედოთ კივიან. საცოდავი ჩონჩხი მოჭრილ მუხასავით გადაქცეულა სისხლის გუბეში და ვიღაცას შველას სთხოვს, ეხვეწება:

— ერთ დღეს მაინც მაცოცხლეთ, ერთ დღეს მაინც მაჩვენეთ ქვეყანა, თავისუფლება!

არა, მასთან მისვლა აღარ შემიძლიან...

— ვინ ხართ, ექიმი მოიყვანეთ ჩქარა, ექიმი,—ხმა გამოლეული ვყვირი.

ოთახი ხალხით ივსება. ვერვის გაუგია რაშია საქმე. მე ვარ მკვლელი თუ სხვა ვინმე... მაგრამ სხვას რა უნდოდა აქ, ან რაღა ჩვენ მოგვნახა ამდენ სახლებში, ეზოებში, ამდენ ხალხში...

საცოდავი ჩონჩხი უკვე ხმას აღარ იღებს, ეტყობა სასიკვდილო ჭრილობა აქვს, დაიღალა, ეძინება.

ყოჩაღ, ყოჩაღ ჩემო თავო, მასპინძლობაც სწორედ ამას ჰქვია!..

აი ექიმი უკვე მოიყვანეს, გულიდან მძიმე ლოდი ამეხადა, შვება ვიგრძენი.

— ბატონო ექიმო, შენი ჭირიმე, ეცადე, რაც კი შეგიძლიან, ეცადე იქნება როგორმე იხსნა უბედური... ერთ დღეს მაინც იცოცხლოს, ცოდვაა, 9 წელი საკატორღო ციხეში გაატარა!—ვეუბნები ექიმს და სულგანაბული ველი პასუხს. მაგრამ...

— მაჯა დადგა... არაფერი ეშველება! გულცივად ამბობს ექიმი და, თითქოს არაფერი მომხდარიყოს უკან ბრუნდება.

ოთახში საშინელი მყუდროებაა. ხალხის ლაპარაკი, ჩურჩული, სუნთქვა შეწყდა.

ყველას ხმა გაუკმედია, თითქო ყურს უგდებენ—სიკვდილის შავი ჩრდილი ციგი შრიალით როგორ უახლოვდება ტანჯისაგან სახედალრეჯილ ჩონჩხს.

ილო. მოსაშვილი.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ეროვნული ბიბლიოთეკა



გურია. ჩაის კრეფა შემოდგომაზე

# „ნორჩი ენტუზიასტები“

საბჭოთა კინემატოგრაფიის ყველაზე სუსტი მხარე ეს არი საბავშო კინო-სურათების დარგი. ამ მხრივ ჩვენ თითქმის არ მოგვეპოება ნამდვილი საბჭოთა კინო-სურათი. რით კვებავს ჩვენი კინო ბავშვებს და პიონერებს? ჯეკი კუგანის სანტიმენტალური ისტორიებით და უბადრუკი პატპატომშინთ. რასაკვირველია ეს სრულებით ვერ დააკმაყოფილებს ჩვენს საბავშო აუდიტორიას და სრულებით არ შეესაბამება მოთხოვნილებებს, რომელთაც აყენებს პარტია და საბჭოთა საზოგადოებრივობა.

საქ. სახკინმრეწვმა მხოლოდ ამ უკანასკნელ წელს გადასწყვიტა საბავშო ფილმების კეთება და ამ მხრივ მეტად ალსანიშნავია პირველი მერცხალი კინო-სურათი „ნორჩი-ენტუზიასტები“ ანუ „ორი დათვი“. ეს სურათი წარმოადგენს პირველ დამოუკიდებელ სამუშაოს ახალგაზრდა და ნიჭიერ რეჟისორის ალექსანდრე თაყაიშვილის. ყველა კარგათ იცნობს ამხ. თაყაიშვილს, როგორც საბავშო თეატრის ხელმძღვანელს და რეჟისორს კარგათ იცნობს მას მეტადრე ახალგაზრდობა, რომლისათვისაც იგი დაუღალავად მუშაობს. სურათი „ნორჩი ენტუზიასტები“ მისი პირველი ცდა არის საბავშო სურათის გაკეთებისა კინემატოგრაფიაში და უნდა ითქვას, რომ ეს ცდა გამართლდა.





ბავშვთა დიდმა აუდიტორიამ, რომელიც შესდგება პიონერებისა და მოსწავლე ახალგაზრდობისაგან, პლეხანოვის კლუბში, სადაც შესდგა პირველი საჯარო ჩვენება ამ სურათისა, დიდის ალტაცებით მიიღო სურათი. მთავარი თემა ამ სურათისა არის პიონერთა საზაფხულო მუშაობა და მათი მონაწილეობა სოციალისტურ ალმშენებლობაში. ერთ მიყრუებულ საბჭოთა სოფელში მიდის ბანაკათ პიონერთა რაზმი ჭინჭარის მოსაკრეფად. ალბათ მრავალმა არ იცის თუ რა სარგებლობა შეუძლიან მოგვიტანოს ამ პირველ შეხედვით უსარგებლო და მსუსხავ მცენარემ. ჭინჭარი საექსპორტო საქონელია და მისი საზლვარ გარეთ გაყიდვით საბჭოთა ხელისუფლებას ეძლევა შესაძლებლობა სხვადასხვა სამეურნეო იარაღების და ტრაქტორების შემოტანისა ჩვენში სოფლის კოლექტივიზაციის ჩასატარებლად. სოფელში პიონერებს დახვდება სოფლის ახალგაზრდობა, რომელთაც პიონერები ჩააბამენ კულტურულ სამუშაოში. ამასთანავე სურათში მოყვანილია თითქმის მთელი საბანაკო მუშაობა პიონერების. სურათში მონაწილეობენ ნამდვილი პიონერები და გადაღებულია ნამდვილი ბანაკი ქვიშხეთში. სურათი გადაღებულია ოპერატორ ფ. ჯიჯილეს მიერ, მხატვარი მიხ. გოცირიძე.





კადრები სურათ „ნორჩი ენტუზიასტები“-დან

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი ფოტო-ქრონიკა



რიონჰესის ზემო ნაწილის მშენებლობა





დამკვრელი მუშები



ნავთლუღის სახალხო მეურნეობა. ჯიშიან ფურის მოწველა



წითელარმიელების სამკითხველოში. ახლად წვეულები კითხულობენ გაზეთებს.





მუშათა ახალი საცხოვრებელი სახლები თბილისში

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საგაზეთო გამომცემლობათა სტამბა „კოლექტივი", კამოს ქ. № 68. მთავ. № 2816. შეკვ. № 3722. ტირ. 6.328.